გაზეთი ბიეჭრია. „ვერსია“ ერთი

ვერსია

№15 (1605) 20 — 26 აპრილი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

მღვდელი კელიაში მოკლეს

ძვირადღირებული საბედისწერო ხატი – როგორ გავიდა პოლიცია დამნაშავე ტელეოპერატორის კვალზე

როგორ ამყარებს პუტინის რეჟიმი რუსულ რუბლს „გაზპრომის“ ანგარიშების საშუალებით – ცუღლუტობის რუსული სქემა

სოსო გალუმაშვილი: „24 თებერვლიდან რუსეთს თავს დაატყდა ეკონომიკური პრობლემების ტორნადო, რომელსაც ვერ უმკლავდება“

ექსკლუზივი: ნიკა კვაარცხელიას მკვლელობისთვის მსჯავრდებულები სასჯელის გასაჩივრებას აპირებენ

უნდა გაიზარდოს თუ არა „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის პატიმრობა – ყოფილი კრიმინალის მოსაზრება

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

მამუკა არეშიძე: „დიდ გაჭირვებაში არიან, ეს უბედურ დღეზე გაჩენილები“

ვინ არის ცხინვალის ე.წ. პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი და შეიცვლება თუ არა საქართველოსთან ურთიერთობა მისი გამარჯვების შემთხვევაში

პოლიციამ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ორი პირი დააკავა, სამ პირს ბრალი დაუსწრებლად, ხოლო ერთ პირს – პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის 1995 წელს დაბადებული გ.ყ. და 1990 წელს დაბადებული ლ.მ. დააკავეს.

დაუსწრებლად წარედგინათ ბრალი 1983 წელს დაბადებულ ლ.ჩ.-ს – „კანონიერი ქურდობისთვის“, 1988 წელს დაბადებულ ზ.ხ.-ს – „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“, ხოლო 1989 წელს დაბადებულ გ.ხ.-ს – „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის ან კანონიერი ქურდისთვის მიმართვისთვის. რაც შეეხება 1983 წელს დაბადებულ დ.ჯ.-ს, მას ბრალი „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“ პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებისთვის ცნობილი გახდა მოქალაქე დ.უ.-ს მიერ, ერთ-ერთ ონლაინ-კაზინოში 216 963 ლარის მოგების შესახებ. მათ, სარგებლის მიღების მიზნით, ე.წ. ქურდული გარჩევა მოაწყვეს. „ქურდული სამყაროს“ წევრი დ.ჯ. დაუკავშირდა საზღვარგარეთ მყოფ, „ქურდული სამყაროს“ წევრ ზ.ხ.-ს და „კანონიერ ქურდ“ ლ.ჩ.-ს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ დ.უ.-ს ონლაინ-კაზინოში მოგებული თანხის ნაწილი მისი მითითების გარეშე არ უნდა განეკარგა.

ამის შემდეგ, დ.უ.-ს „ქურდული სამყაროს“ მხარდამჭერებმა – ლ.მ.-მ და გ.ყ.-მ „კანონიერი ქურდის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობა დაუდასტურეს და მას მფარველობას დაჰპირდნენ, რითაც მხარი დაუჭირეს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებას.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა, დიდი ოდენობით ფული და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ.

დანაშაულები 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ გლდანში მომხდარი ავტომობილის გაქურდვის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მ.წ. ავტომობილის გაქურდვის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 31 მარტს, გლდანში, ვასაძის ქუჩაზე, უკრაინის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილიდან სხვადასხვა ნივთი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღო. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული ვადები და ფარული მოქმედებების ჩატარების თაობაზე შეტყობინების წესი იცვლება

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული ვადები, შესაძლოა, გახანგრძლივდეს. ამასთან, იცვლება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინების წესიც. ამასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ დეპუტატმა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი მოამზადეს, რომელიც ბიუროს 18 აპრილის სხდომაზე წარედგინება.

მოქმედი კანონის გათვალისწინებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება იმ ვადით გაიცემა, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, არაუმეტეს ორი თვისა. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არაუმეტეს სამი თვისა გაგრძელდეს, გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

როგორც ინიციატორები განმარტავენ, კანონის აღნიშნული ნორმა სასამართლო პრაქტიკაში არასწორი განმარტების საგანი გახდა. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ იგი განიმარტება გაუმართლებლად შეზღუდულად და არა კანონმდებლის მიერ მასში მოაზრებული ნამდვილი შინაარსის შესაბამისად.

„კერძოდ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარების საკმარის ვადად, როგორებიცაა, მაგალითად: ტერორიზმი, საბოტაჟი, ომის დანაშაული და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა მძიმე დანაშაულები, პრაქტიკაში მიჩნეულ იქნეს სამთვიანი მაქსიმალური ვადა მაშინ, როცა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა, კანონის თანახმად, სინამდვილეში, ექვსი თვეა“, – ვკითხულობთ პროექტის განმარტებით ბარათში.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტით, დგინდება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საერთო ვადა შეადგენს არაუმეტეს 9 თვეს და ის სამ ეტაპად ტარდება, გარდა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით“ გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით პირველ ეტაპზე ტარდება არაუმეტეს სამი თვის ვადით, მეორე ეტაპზე – ზემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს სამი თვის ვადით, ხოლო მესამე ეტაპზე – გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს სამი თვის ვადით.

ამასთან, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით შესაძლოა კიდევ ერთხელ გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტარდება.

გარდა ამისა, თუ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 142-ე, 142/1, 143-ე-143/2, 144-ე-144/3, 155-ე, 157/1, 194-ე, 194/1, 223-ე-226-ე, 230-ე-232-ე, 234-ე– 235/1, 239/1, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255/1, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე-321/1, 322/1-333-ე, 337-ე-339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343/1, 345-ე, 346-ე, 404-ე-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარეობს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა, სასამართლოს კონტროლით, შესაძლოა იმდენჯერ გაგრძელდეს, რამდენჯერაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იარსებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინებას ეხება. მოქმედი წესის მიხედვით, სათანადო ორგანომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაცია 24 თვის ვადაში იმ პირს უნდა შეატყობინოს, რომლის მიმართაც ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა.

„ვინაიდან აღნიშნული წესი არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის ასეთ მცირე დროში შეტყობინებამ საგამოძიებო ორგანოს ფუნქციონირების ეფექტიანობას საფრთხე შეუქმნას და სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი არსებითად დააზიანოს“, – ვკითხულობთ კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

საკანონმდებლო ცვლილებებით, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება “სისხლის სამართლის კოდექსის“ – 108-ე, 109-ე, 142-ე, 142/1, 143-ე-143/2, 144-ე – 144/3, 155-ე, 157/1, 194-ე, 194/1, 223-ე – 226-ე, 230-ე – 232-ე, 234-ე-235/1, 239/1, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255/1, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე-321/1, 3221 – 333-ე, 337-ე – 339-ე, 341-ე, 342-ე, 343–ე, 343/1, 345-ე, 346-ე, 404-ე – 413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის იმ პირისთვის შეტყობინება, რომლის მიმართაც იგი ჩატარდა, შესაძლოა იმდენჯერ გადავადდეს, რამდენჯერაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივ წესრიგისა და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინება, სასამართლოს კონტროლის საფუძველზე, ყოველ ჯერზე შესაძლოა გადავადდეს არა უმეტეს 12 თვის ვადით. პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები: ირაკლი ბერაია, ალექსანდრე ტაბატაძე, ვლადიმერ ჩაჩიბაია, რესან კონცელიძე, გია ბენაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ეკა სეფაშვილი, რატი იონათამიშვილი, გიორგი ხელაშვილი და კახა კახიშვილი.

როგორ ამყარებს პუტინის რეჟიმი რუსულ რუბლს „გაზპრომის“ ანგარიშების საშუალებით – ცუღლუტობის რუსული სქემა



მაკა რუხაძე

თითქმის 53 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ომის დაწყებიდან ერთ კვირაში, აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირის ქვეყნებმა და მოკავშირეებმა რუსეთს უმძიმესი ფინანსური სანქციები დააკისრეს. ზუსტად ერთი თვის წინ, „ჯეპრა“-ს უფროსმა კონსულტანტმა, სოსო გალუმაშვილმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ აშშ-სა და მისი მოკავშირეების სანქციებს რუსეთში დეფოლტი (კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის არშესრულება, გადახდა-ანგარიშსწორებაზე უარის თქმა) მოჰყვებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა აშშ-ის ნავთობის რეზერვების სრულად გამოყენების განკარგულება გასცა, ოპეკის ქვეყნებმა „შავი ოქროს“ ფასი დასწიეს, თუმცა რუსულ ნავთობზე უარის თქმით, ოკუპანტი ქვეყანა საკმაოდ დიდ შემოსავალს კარგავს. მეტიც, მას შემდეგ, რაც ცივილიზებულმა მსოფლიომ რუსულ გაზზე უარი თქვა, პუტინის რუსეთი ყოველდღიურად 1 მილიარდ აშშ დოლარს, რუსულ ქვანახშირზე უარის თქმით კი, ყოველდღიურად 8 მილიარდ აშშ დოლარს კარგავს. ცხადია, ამ მდგომარეობას რუსეთის ეკონომიკა დიდხანს ვერ გაუძლებს, რასაც საერთაშორისო ვალდებულებების არშესრულება მოჰყვება და დეფოლტს ვერ ასცდება. ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიას“ „ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი, სოსო გალუმაშვილი ესაუბრა.

– სოსო, ზუსტად ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეჭრის გამო, რუსეთს აშშ-მა და მოკავშირეებმა უმძიმესი სანქციები დაუწესეს. რა ვითარებაა ახლა, ომის დაწყებიდან 53-ე დღეს?

– რუსეთის პროპაგანდის აზრით, სანქციები არ მუშაობს და პირიქით, აცხადებენ, რომ ყველაფერი კარგადაა, არაფერი შეცვლილა, რუსული რუბლი 24 თებერვლამდე არსებულ მდგომარეობას დაუბრუნდაო. სინამდვილეში კი, თუ ამ ვითარებას ღრმად გავანაალიზებთ, ვნახავთ, რომ უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელსაც რუსეთის ეკონომიკა ვერ უმკლავდება. პირველი, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო, რუბლის დღევანდელი კურსია, რომლითაც რუსული პროპაგანდა ამაყობს, მაგრამ ეს რეალური კი არა, ხელოვნური კურსია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ექსპორტიდან მიღებული ვალუტის გადაცვლის ხარჯზე ნარჩუნდება.

მეორე მნიშვნელოვანი თემა მიზერული ამოცანების ვერშესრულებაა. ბოლო დროს ხშირად გვესმის, რომ ოკუპანტების აზრით, ამ ეგრეთ წოდებული სპეცოპერაციის მიზანი უკრაინის დაპყრობა კი არა, თურმე, დონბასის გათავისუფლება ყოფილა, მაგრამ ასეც რომ იყოს, რუსეთს მაინც დიდი ადამიანური და ფინანსური რესურსები ეკარგება. აქედან გამომდინარე, პუტინის რეჟიმი გადაერთო ხანგრძლივვადიანი ომის პირობებზე, რადგან ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების ექსპორტზე გატანის აკრძალვა ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი გახლავთ. რეალურად, რუსეთმა უარი განაცხადა მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქტების ექსპორტზე, რომლითაც შეეძლო, ვალუტის შეტანა, კურსის რეგულირება და ინფლაციის მოთოკვა. ხორბლისა და მარცვლეული კულტურების ექსპორტზე უარის თქმა ნიშნავს, რომ რეალურად, რუსეთი ხვდება, ეკონომიკური მდგომარეობა ვერ დაუბრუნდება იმ ძველ წონასწორობის მაჩვენებელს, როგორიც 24 თებერვლამდე, უკრაინაში ომის დაწყებამდე იყო.

მესამე მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე საწარმოებთან დაკავშირებული ანალიზი. ირკვევა, რომ ძირითადი საშუალებები, იგივე მანქანა-დანადგარები და ელექტროტექნიკა რუსეთში ევროპის ქვეყნებიდან შედიოდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის ბაზარი თითქმის ყველა საერთაშორისო კომპანიამ დატოვა, პრობლემა გაჩნდა ამ მხრივ და აქ საუბარი არაა ერთ-ორ საწარმოზე, ფაქტობრივად, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე გაშლილ უამრავ საწარმოებს ვგულისხმობ, მათ შორის, ნავთობისა და ქვანახშირის მომპოვებელ და გადამამუშავებლებს. სწორედ ეს საწარმოები იყენებენ ევროპულ მანქანა-დანადგარებსა და ელექტროტექნიკას და სანქციების გამო, მათი მუშაობა შეფერხდა.

მეოთხე მნიშვნელოვანი პუნქტი ისაა, რომ რუსეთი არ არის საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტების მწარმოებელი. შესაბამისად, მხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების რუსეთის ბაზრიდან გასვლის შემდეგ, დეფიციტი შეიქმნა. ძალიან მარტივად რომ აგიხსნათ, დღეს, დაახლოებით, 60%-იანი დეფიციტი აქვთ, იგივე, საოფისე ქაღალდთან დაკავშირებით, თუმცა სტომატოლოგიური და ჯანდაცვის სხვა დარგების მარაგ-ნაწილებიც კი დეფიციტშია, ასევე, პირველადი მოხმარების პროდუქტები – შაქარი, წიწიბურა და ასე შემდეგ.

აქედან გამომდინარე, რეალურად, მივიღეთ სიტუაცია, როდესაც რუსეთი მხოლოდ ხელოვნურად იჭერს რუბლის კურსის კატასტროფულ ზრდას, რათა საფონდო ბირჟა სრულად არ ჩამოეშალოს. ამ ხელოვნურ შეკავებაში იგულისხმება მკაცრი ზომები, რომლებიც არა მარტო ვალუტის გადაცვლას, არამედ, ვალუტის საბანკო ანგარიშიდან გამოტანასაც უკავშირდება. არა მარტო საერთაშორისო ანალიტიკოსები, არამედ რუსეთში მოღვაწე დამოუკიდებელი ექსპერტებიც ვარაუდობენ, რომ ის მაჩვენებლები, რაც მსოფლიო ბანკმა გამოაცხადა – მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მინუს 10%-მდე შემცირდება, ალბათ, 10%-ზე მეტი იქნება. შესაძლოა, ბევრი ქვეყანა სანქციებზე შეერთებული არაა, მაგრამ ძალიან დიდ სიფრთხილეს იჩენენ რუსეთთან ურთიერთობისას. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ჩინურმა კომპანიებმა რუსეთთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. უმსხვილესი ჩინური კომპანიები ჩართულები არიან მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროექტებში, თუმცა იმის შიშით, რომ ეს პროექტები არ დაკარგონ, რუსეთთან კონკრეტულ გარიგებებში აღარ ერთვებიან.

– რუსეთ-უკრაინის ომის გამო საერთაშორისო ბაზარზე ნავთობი გაძვირდა, მაგრამ ჯო ბაიდენის განცხადების შემდეგ, „შავი ოქროს“ ფასი დასტაბილურდა. ეს პროცესი როგორ აისახება რუსეთზე?

– ისიც კი ვერ მოახერხა რუსეთმა, რომ დაეყოლიებინა დასავლეთი, რომელიც ძალიან დამოკიდებულია რუსულ გაზზე, ფასი რუბლებში გადაეხადა. მიუხედავად იმისა, რომ რუსი პროპაგანდისტები ძალიან ხშირად ატრიალებენ ამ ფრაზას, რუსული გაზი და ნავთობი რუბლებზე იყიდებაო, ეს მტკნარი სიცრუეა. უმსხვილეს ბანკებს, რომლებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე მუშაობენ, სანქციები არ შეხებია, სანქციები არ დაუწესებიათ არც „გაზპრომისთვის“ და ახლა აგიხსნით სქემას, რომლითაც კარგად ჩანს, როგორ ყიდის რუსულ გაზს და სანქციების გვერდის ავლით იღებს საფასურს.

> **ესაა კონკრეტული მექანიზმი, უფრო ზუსტად, რუსული ცუღლუტობა. რუსული გაზის რეალიზაციასთან დაკავშირებული კონტრაქტები გაფორმებულია ევროში. ის ქვეყნები, რომლებიც რუსულ გაზს ყიდულობენ, მის საფასურს – ევროში, რიცხავენ „გაზპრომის“ ანგარიშზე. ამის შემდეგ, „გაზპრომი“ ახურდავებს ევროს რუბლებში და ანაწილებს გაზისა და ნავთობის კომპანიებზე. სწორედ ასეთი ტრანზაქციების შედეგად დგინდება რუბლის ფასი. რეალურად, ვინც ამ მექანიზმის გამო აგებს და დიდ თანხას კარგავს, სწორედ რუსული საწარმოები არიან, რომლებიც გამოიმუშავებენ გაზს, ჰყიდიან და შემდეგ იმაზე ბევრად ნაკლებ ფასს იღებენ, ვიდრე რეალურად შეიძლებოდა, მიეღოთ.**

ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ რუსეთი უმძიმესი ეკონომიკური პრობლემების წინაშეა და რასაკვირველია, ძალიან ახლოსაა დეფოლტთან. ამას კიდევ ერთი რამ მოწმობს – ესაა რუსეთის რკინიგზის მიერ გამოცხადებული ფაქტობრივი დეფოლტი, როდესაც ევროობლიგაციები ვერ გადაიხადა. მიუხედავად პუტინის რიხიანი განცხადებებისა, რუსეთი უმარტივეს პრობლემებს ვერ აგვარებს.

დასასრული მე-4 გვერდზე

როგორ ამყარებს პუტინის რეჟიმი რუსულ რუბლს „გაზპრომის“ ანგარიშების საშუალებით – ცუღლუტობის რუსული სქემა

მე-3 გვერდიდან

რუსეთში, მხოლოდ საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებულები რომ ავიღოთ, სამსახურის გარეშე რჩება 200 000 ადამიანი.

მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში ეკონომიკური პრობლემები არ ჩანს, მაგრამ როდესაც სეზონიდან გამომდინარე, ევროპაში გაზის მიწოდება შეწყდება, მერე რაზე უნდა ჩამოეკიდოს რუსეთის ეკონომიკა?! ფაქტობრივად, რუსული რუბლის კურსს გაზის ფასი არეგულირებს. როდესაც გაზი აღარ გაიყიდება, ის შემოსავლები, რაც დღეში 1 მილიარდი აშშ დოლარია, საიდან უნდა მიიღოს?! აი, აქ უკვე პასუხები არ ჩანს.

რაც შეეხება აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებას, რამაც, ფაქტობრივად, გააიფა ეს პროდუქტი, კიდევ უფრო მეტად ურტყამს რუსეთის ეკონომიკას. ფაქტობრივად, 24 თებერვლიდან დაწყებული, რუსეთს თავს დაატყდა ეკონომიკური პრობლემების ტორნადო, რომელსაც ვერ უმკლავდება! მხოლოდ დაპირებებით, შესაძლოა, ეკონომიკა ორი-სამი დღე, ერთი კვირა ან მაქსიმუმ, ერთი თვე მართო, მაგრამ მუდმივად დაპირებებით მართვა შეუძლებელია.

– სოსო, ვის ან რას შეეძლო მშპ-ს ვარდნის შეჩერება რუსეთში ან ეკონომიკის ამ უფსკრულიდან ამოყვანა თუ არის შესაძლებელი?

– ადამიანებს! დღეს, ვინც კი ქმნიდა გარკვეულ ახალ პროდუქტებს, ეკონომიკის ახალ მიმართულებებს, ფაქტობრივად, აღარ დარჩნენ რუსეთში. პირველ რიგში, ვგულისხმობ IT-სპეციალისტებს. ოფიციალური წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ ამ ერთ თვეში, რუსეთი 100 000-ზე მეტმა სპეციალისტმა დატოვა. აი, ეს არის ყველაზე დიდი დარტყმა, რაც სანქციებს მოჰყვა. შესაძლოა, ნავთობის ფასი აღდგეს, ბოლოს და ბოლოს, შემოდგომა დადგება და გაზის მიწოდებაც განახლდება, მაგრამ რა ეშველება იმ ინტელექტუალურ ნაწილს, რომელსაც უნდა შეექმნა რუსეთის ხვალინდელი ეკონომიკა? ფაქტობრივად, ეს აღარ არის და ვისაც კი, ოდესმე, სკოლკოვოში – რუსეთის უმსხვილეს ტექნოპარკში გაუვლია, არავინ აღარ ცხოვრობს რუსეთში, მათ შორის, არც სკოლკოვოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაწერა განცხადება წასვლის შესახებ.

ყველაფერ ამის ერთობლიობა – ადამიანური რესურსი, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორები, დეფოლტი, მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რეალურად, საქმე კიდევ უფრო მძიმედაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი – ფასების ზრდაა, რომელსაც ვერაფერს უხერხებენ. მაგალითად, ცენტრალური ბანკის მმართველმა განაცხადა, რომ პროდუქტების ბევრ კატეგორიაზე, მეორე-მესამე კვარტალში, ფასები ძალიან სერიოზული პროცენტული მაჩვენებლებით გაიზრდებაო.

– საბოლოოდ, ყველას გვინდა, რომ რუსეთი სწორედ ასეთი წნეხის ქვეშ მოექცეს, მაგრამ მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია. დომინოს პრინციპით, რუსული დეფოლტი და მით უმეტეს, ინფლაცია, ჩვენს ეკონომიკაზეც ხომ აისახება?

– რასაკვირველია და სწორედ ამიტომ ჰყავს ქვეყანას მთავრობა, რომ იმ მიმართულებებზე, სადაც მოსალოდნელია ყველაზე მძაფრი ზეგავლენა, კონკრეტული პროექტები განახორციელოს. სხვათა შორის, რამდენიმე პროექტი უკვე დაწყებულიცაა, მაგალითად, ყველაზე მნიშვნელოვანია მცირემიწიანი ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საქონლის შეძენაში დახმარება, რაც ძალიან სწორი პროგრამაა. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთწლიანი კულტურების დაფინანსებაში დახმარება. ეს ძალიან მიზანმიმართული პროექტია, რადგან ახლა, პრობლემები სწორედ ერთწლიანი კულტურების ნაწილში შეგვექმნება. რეალურად, სერიოზული პრობლემა გვაქვს ხორბლისა და სიმინდის მარაგებში, რადგან ამ მხრივ, იმპორტიორები ვართ ანუ სადაც შეიძლება, რომ დეფიციტი შეიქმნას, სწორედ იქ გვჭირდება კოორდინირებული და კონცენტრირებული დახმარება.

რა თქმა უნდა, პრობლემები იქნება, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ სწორედ ახლაა საჭირო მთავრობისა და ბიზნესის თანამშრომლობა, რადგან ეს პრობლემა დავძლიოთ. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რუსეთი არასანდო პარტნიორია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ თვითონვე ქმნის კრიზისებს, რომლებსაც ვერ უმკლავდება. რუსული დეფოლტი და ინფლაცია მთლიანი მასშტაბით ვერ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან გარკვეულწილად, სხვადასხვა მიმართულებებით, დივერსიფიცირება დაწყებულია, მაგრამ ფასებთან დაკავშირებით გავლენა აუცილებლად ექნება.

მეორე მხრივ, მთავრობის მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება, განსაზღვროს პროექტებისა და პროგრამების მიზანმიმართულობა, რომლებიც კონკრეტულად ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს ინფლაციაზე, ხოლო ბიზნესის ამოცანა იქნება, ქართული ატმის, ყურძნის, ციტრუსების, რომელთა ძირითადი კონტრაგენტიც რუსეთია, სერიოზული დივერსიფიკაცია დაიწყოს. ჩვენი ნებისმიერი სწორი დემარში ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ, გამოყენებული იქნება პოლიტიკურ ჭრილში, ჩვენს წინააღმდეგ და ერთ დღეს გაჩერდება ატმის ჩატანა, შემდეგ – ციტრუსის. ამიტომ, ბიზნესმა უნდა მოძებნოს ახალი ალტერნატიული გზები და ბაზრები ქართული პროდუქციის საექსპორტოდ.

მამუკა არეშიძე: „დიდ გაჭირვებაში არიან, ეს უბედურ დღეზე გაჩენილები“

ვინ არის ცხინვალის ე.წ. პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი და შეიცვლება თუ არა საქართველოსთან ურთიერთობა მისი გამარჯვების შემთხვევაში

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში, ე.წ. არჩევნების მეორე ტური ჩაინიშნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედმა დე ფაქტო პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა პირველივე ტურში გამარჯვება ვერ მოიპოვა. წინასწარი შედეგებით, ლიდერობს პარტია „ნიხას“-ის თავმჯდომარე, ალან გაგლოევი.
ცხინვალის ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, 11 აპრილს გამოქვეყნებული მონაცემებით, ხმების 95%-ის დათვლის შედეგად, გაგლოევს 36.9% აქვს, ოკუპირებული რეგიონის მოქმედ ე.წ. პრეზიდენტს, ანატოლი ბიბილოვს კი – 33.5%. ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში, კიდევ სამი კანდიდატი მონაწილეობდა. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში 10 აპრილს ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში გასამარჯვებლად საჭირო ხმების 50%-ზე მეტი ერთმა კანდიდატმაც ვერ მოაგროვა და გაგლოევისა და ბიბილოვის მონაწილეობით, მეორე ტური 24 აპრილს გაიმართება. ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები დაგმეს ევროკავშირმა, ნატომ, აშშ-მა და საქართველოს სხვა პარტნიორმა სახელმწიფოებმა.
რისი მანიშნებელია ე.წ. არჩევნებში ბიბილოვის მარცხი და აქვს თუ არა განსხვავებული ხედვა და მსოფლმხედველობა ოპოზიციონერ გაგლოევს რუსეთთან და ოფიციალურ თბილისთან ურთიერთობის თვალსაზრისით? – „ვერსია“ კავკასიის საკითხების ექსპერტს, მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– ეს იმის მანიშნებელია, რომ ბიბილოვმა რაც თქვა, ვერაფერი შეასრულა. დე ფაქტო პრეზიდენტები ხალხს „ოქროს მთებს“ ჰპირდებიან. ცხინვალი პატარაა, სულ 40 000 ათასამდე ამომრჩეველია და, ერთი შეხედვით, ბევრი რამ დამოკიდებულია მოსკოვზე, სინამდვილეში, სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა პიროვნებას უჭერს ხოლმე მხარს. ისეთი დაძაბული მდგომარეობაც კი იყო, როცა თედეევის დასახმარებლად ჩამოვიდა რუსული ელიტა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, რადგან „ეფ ეს ბე“-ს გუნდი უჭერდა მის მოწინააღმდეგეს მხარს, თან ცხინვალში ყველა ყველას იცნობს და ვიწრო წრეში ხდება ხოლმე პრეზიდენტის არჩევა. საქმე ისაა, რომ რასაც უნდა დაპირდნენ, შესრულება არარეალურია. თავის დროზე, ბიბილოვმა „ჭკუა იხმარა“ და დაპირდა ხალხს რუსეთთან შეერთებას, 2017 წელს დაგეგმა რეფერენდუმი, მაგრამ მოსკოვმა არ ჩაატარებინა. ახლაც ამ სატყუარით აპირებდა გამარჯვებას, მაგრამ ძალიან ცუდი ამბები დაემთხვა წინა დღეებში – ეს იყო უკრაინის ომი და იქ ჯარისკაცების გაგზავნა, რისი მთავარი აგიტატორიც თავად ბიბილოვი იყო. ეს კი იმით დამთავრდა, რომ 300 კაცი გამოიქცა ომიდან, უამრავი დაიჭრა და დაიღუპა, ზოგი კი ტყვედ ჩავარდა. ეს ხალხმა არ აპატია, რადგან ფიქრობენ, რომ შეიძლებოდა, მოქცეულიყვნენ ისე, როგორც აფხაზები, სადაც ყველაფერი გააკეთეს, რომ მოხალისეების გარდა, ომში არავინ წასულიყო. სინამდვილეში, აფხაზებიც მოხვდნენ ომში, მაგრამ ამ ფაქტმა დიდი რეზონანსი არ გამოიწვია და ცხინვალში ჰგონიათ, რომ აფხაზები ომში არ წაუყვანიათ.

– ბიბილოვმა 2017 წელს რეფერენდუმის ჩატარება ვერ შეძლო, ახლა რატომღა წამოსწია ეს საკითხი?

– რეფერენდუმი ივნისში დაგეგმა და თუ ბიბილოვმა ვერ მოიგო ეს არჩევნები... თუმცა, დარწმუნებული იყავით, რომ ძალიან სერიოზული ძალები ჩაერთვებიან, რათა ბიბილოვმა გაიმარჯვოს. ალან გაგლოევიც არ არის უბრალო ადამიანი, მასაც თავის გავლენები აქვს, განსაკუთრებით, რუსულ სპეცსამსახურებში, რომლებიც ადგილზე მუშაობენ. ცხინვალში კი ბევრად მეტია „ეფ ეს ბე“-ს წარმომადგენლობა, ვიდრე – აფხაზეთში. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, ყველაფერი ეს ჩამოშლილია და ამას დაემთხვა რუსეთის ოფიციალური განცხადებაც, რომ აფხაზებსა და ოსებს წელს ვერ დაეხმარება. ამასთან, სანქცირებულია რუსეთი და ძალიან მძიმე მდგომარეობაა ეკონომიკურად, ტვირთბრუნვის თვალსაზრისით. ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოსკოვიდან არა მხოლოდ თანხას იღებდნენ, არამედ, პროდუქტიც შემოჰქონდათ, რასაც იმ მოცულობით ვეღარ შეძლებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრანსპორტირება გაძვირებულია, თან რუსეთი კორუმპირებული ქვეყანაა და ყველას ფული უნდა მისცე, რომ პროდუქტი შემოიტანო. ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსული სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ხომ არ არის და ამის გამო, დიდი ბიუროკრატიაა, რომ შემოიტანო, მაგალითად, ცოტა რაოდენობის პურის ფქვილი. ამისთვის უზარმაზარი გადასახადია საჭირო. ვთქვათ, სომხეთმა რომ რუსეთიდან შეიტანოს პროდუქცია, სხვაგვარი რეგულაციები მოქმედებს, რადგანაც ის რუსული სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, ცხინვალის შემთხვევაში კი მდგომარეობა განსხვავებულია. მოკლედ, არიან დიდ გაჭირვებაში, ეს უბედურ დღეზე გაჩენილები და იმისთვის, რომ მათი ყურადღება გადავიტანოთ სხვა რამეზე და მათი ინტერესები გავააქტიუროთ სხვა შეთავაზებებით, ამ მიმართულებით, პრაქტიკულად, არაფერს ვაკეთებთ, თორემ ახლა ყამირია აფხაზეთშიცა და ცხინვალშიც...

– აფხაზეთის ვითარებაც საინტერესოა. სხვათა შორის, ამას წინათ, რუსეთთან შეერთების რეფერენდუმის კონტექსტში, სტატია გავრცელდა – „არ შეგეშალოთ აფხაზები ოსებში“...

– თავისთავად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს საკითხი მოხსნილია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეკონომიკურ ნაწილზე ვისაუბრებ. იქ ფიქრობენ, რატომ უნდა შევუერთდეთ რუსეთს, რომელიც უახლოესი ათწლეული იქნება სანქციების ქვეშ და ისედაც დანგრეული ეკონომიკა კიდევ უფრო დაგვენგრესო?! ამ დროს ჩვენ, ენგურს აქეთ, სხვა პირობებში ვცხოვრობთ და შეგვიძლია, გარკვეული პრეფერენციების მიღწევა, მაგრამ ამას სჭირდება სურვილი და თავი.

– ხედავთ პერსპექტივას, რომ ოფიციალური თბილისი გააააქტიურებს ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი ინტეგრაციის საკითხს?

– არ ვიცი, ოფიციალური თბილისი რა ნაბიჯებს გადადგამს იმიტომ, რომ სამინისტროში, რომელიც ამ მიმართულებით საქმიანობს, არ ვიცი, პოლიტიკური ნება არ არსებობს, თუ სამინისტროს ხელმძღვანელობას არ შეუძლია ამის გაკეთება... ვხედავ, რომ შანსს ვუშვებთ ხელიდან და ეს მაწუხებს ყველაზე მეტად.

– ბატონო მამუკა, რადგანაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში დე ფაქტო არჩევნებში ოპოზიციონერი იმარჯვებს, ჩნდება განცდა, რომ მას განსხვავებული ხედვა ექნება რუსეთთან და საქართველოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით... ეს რეალურია?

– არა, ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ეს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელია, ვინც 90-იან წლებში, განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა თბილისს. მთავარი სეპარატისტული ორგანიზაციის ლიდერია ეს კაცი. პიროვნება, რომელიც იყო რუსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების ნაწილი, მისი მსოფლმხედველობა და მიდგომა იქნება ზუსტად იგივე, უბრალოდ, ის არის ახალი. ბიბილოვმა თავისი დრო მოჭამა და თავიდანვე ვამბობდი, ცხინვალში დე ფაქტო პრეზიდენტები ასე სწრაფად ზუსტად იმის გამო იცვლებიან, რომ ვერ ახერხებენ თავისი დაპირებების შესრულებას და არსებული სოციალურ-ეკონომიკური სურათის გამოსწორებას. ვერც მოახერხებენ, რადგან ამას უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი აქვს.

– ე.ი. ბიბილოვი გაიმარჯვებდა თუ გაგლოევი, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ხომ?

– დიახ, უბრალოდ, გაგლოევის პიროვნულ თვისებებს დიდად არ ვიცნობ. ბიბილოვი რომ გათახსირებული პიროვნება იყო, ფაქტია. მაგალითად, ჩიბიროვი სხვა პიროვნება იყო, მასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია შეიძლებოდა. კოკოითთან წარმოუდგენელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს შემოუთვალა, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. ამაზე უარი უთხრეს და დაიწყეს კამპანია „კოკოითი ფანდარასტ“, რომელიც რით დამთავრდა, გახსოვთ...

დარღვევები ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში და პრეზიდენტის თანაშემწის შპს-დან შეძენილი ავიაბილეთები

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ძიუდოს ეროვნული ფედერაცია შეამოწმა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის – ააიპ „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის“ 2018-2020 წლების საქმიანობას ეხება. სახელმწიფო აუდიტის შედეგად, დარღვევები გამოვლინდა, როგორც სახელმწიფო შესყიდვებში, ასევე შრომის ანაზღაურებაში და შიდა კონტროლში.

ხარვეზები შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ, სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, რიგ შემთხვევებში, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა ბაზრის კვლევის და ალტერნატიული შეთავაზებების განხილვა-შეფასების გარეშე ხდებოდა. კერძოდ, სპორტსმენთა შეკრებებზე, სასტუმრო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით, გათვალისწინებული არ ყოფილა მოწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმები, შეთანხმებული და განსაზღვრული არ იყო სპორტსმენთა კვებისთვის საჭირო მენიუ და მისი ღირებულება. მეტიც, სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები გაურკვეველი იყო.

„სატრანსპორტო მომსახურების 70%, რისთვისაც 204 147 ლარი დაიხარჯა, ბაზრის კვლევის გარეშე, მხოლოდ ერთი მომწოდებლისგან იყო შესყიდული. მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტებში არ მიუთითებიათ სატრანსპორტო საშუალებები და არც გადასაზიდი საქონლის დასახელებები. შესაბამისად, გაურკვეველია, რა პარამეტრებსა და ტარიფებზე დაყრდნობით ადგენდნენ სატრანსპორტო მომსახურების თანხებს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე მომსახურე ორგანიზაციის პირობებშიც კი, საწვრთნელ შეკრებებზე გადასაზიდი ინვენტარის მოცულობისა და მარშრუტის უცვლელობის დროს, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდებოდა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ, საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებებზე სპორტსმენთა გამგზავრების მიზნით, ბაზრის კვლევისა და ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე, 967 583 ლარის ღირებულების ავიაბილეთები შესყიდულია შუამავალი კომპანიის, ძიუდოს ფედერაციის კონტროლს დაქვემდებარებული ააიპ „ძიუდოს განვითარების ხელშეწყობის ფონდის“ მიერ 2014 წელს, 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „ჯ.ფ. თრეველისგან“. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ამ კომპანიისგან შესყიდული ბილეთის ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა სპორტული ფედერაციების მიერ, ანალოგიურ პერიოდში, ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებისგან.

გარდა ამისა, „თბილისის გრან-პრი 2018-ის“ ტურნირის ორგანიზების მიზნით, 24 355 ლარის სარეკლამო მომსახურება ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ ხელშეკრულების გაფორმებამდე 20 დღით ადრე, ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის მიერ დაფუძნებული შპს „მიქსიდან“ შეისყიდა!

ხარვეზები „თბილისის გრან-პრიზე“

სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი დარღვევები, სწორედ „თბილისის გრან-პრის საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში გამოავლინეს. კერძოდ, გაირკვა, რომ 2018-2019 წლებში, „თბილისის გრან-პრის“ საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში, საქართველოში ჩამოსული ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის – IJF-ის დელეგატების, სპორტსმენების, ძიუდოს გუნდებისა და თანამშრომლების შიდა სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები – 76 370 ლარის ოდენობით, ანაზღაურებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არადა, როგორც აუდიტორებმა გამოიკვლიეს, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასა და ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას შორის შეთანხმებული პირობებით, ეს ხარჯები შედიოდა სასტუმროს მომსახურების ტარიფებში, რომლის ანაზღაურება უნდა განხორციელებულიყო ტურნირში მონაწილე საერთაშორისო დელეგატების გადახდილი თანხებიდან.

კონტროლის რა მექანიზმების დანერგვის რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფო აუდიტი ფედერაციას

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ „ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში“ დანერგილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე უცხოელ სტუმართა რეგისტრაციისა და მათ მიერ გადახდილი სასტუმრო მომსახურების ღირებულების, მისაღები შემოსავლის (სარგებლის სახით) სისრულის შესახებ სარწმუნოობას. სათანადო დასაბუთების, აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და საშემოსავლო გადასახადის დაკავების გარეშე, 125 800 ლარი, სტიპენდიების სახით, გაცემულია ფედერაციის მწვრთნელებსა და მსაჯებზე.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს შრომის ანაზღაურების ნაწილშიც. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციასა და მომსახურე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებით, რიგ შემთხვევებში, სამუშაოს აღწერილობები არ განუსაზღვრავთ.

„შრომის დროითი სისტემით ანაზღაურების შემთხვევებში, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში არ დაუნერგავთ. რიგ შემთხვევებში, პრემიების, ფულადი ჯილდოებსა და სტიპენდიების სახით გამოყოფილი თანხები ფედერაციის თანამშრომლებზე განაწილებულია სათანადო დასაბუთებისა და მიმღები პირების მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების გარეშე.

ხარვეზები გამოვლინდა შიდა კონტროლშიც. მაალითად, აღმასკომის მხრიდან, ფედერაციის საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი სათანადოდ არ ხორციელდება, კერძოდ, ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი აღმასკომისა და ყრილობის მიერ, არ დამტკიცებულა.

„საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები და სახელფასო ფონდი, აღმასკომის ნაცვლად, დამტკიცებულია ფედერაციის პრეზიდენტის მიერ. თუმცა ფედერაციას დამოუკიდებელი აუდიტორი მოწვევა და ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება არ განხორციელებულა. გარდა ამისა, არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. არ არის აღრიცხული ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. აუდიტის პერიოდში ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლინდა 33 სხვადასხვა დასახელების, 1 199 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი მატერიალური ფასეულობა. არ ჩატარებულა აქტივებისა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია“.

არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქონების ეფექტიანად გამოყენებას.

რეკომენდაციები ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას:

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი დარღვევები გამოავლინეს, გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, რომელთა გათვალისწინებაც ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას აუცილებლად მოუწევს.

„საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ფედერაციამ კონტროლის ისეთი მექანიზმები უნდა შეიმუშაოს, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას. შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძიუდოს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას სახლის პირობებში – უცხოელი სტუმრების რეგისტრაციასა და სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების სისრულეს.“

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით, შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები. შრომის ანაზღაურების პროცესში თანაბარი მიდგომის უზრუნველსაყოფად, დადგინდეს ფულადი ჯილდოსა და პრემიის გაცემის წესი, სადაც განისაზღვრება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები ამ მიზნებისთვის.

„დაინერგოს სააღრიცხვო სისტემა და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული საფუძვლების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და დამტკიცებას. კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს მატერიალურ ფასეულობათა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვაზე, არსებობასა და ეფექტიან გამოყენებაზე კონტროლს“.

ემილი ფეიქრიშვილი

პანდემიური მოგზაურობის წესები

პანდემია ოფიციალურად ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ყველა ხვდება, რომ კორონავირუსი უკან იხევს. დედამიწა კოვიდამდელ ცხოვრებას ნელ-ნელა უბრუნდება, თუმცა გარკვეული შეღუდვები მაინც რჩება. აქედან გამომდინარე, „ვერსია“ გაგაცნობთ წესებს, რომელთა გათვალისწინებითაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა უნდა დაგეგმოთ. რა უნდა გაითვალისწინონ საქართველოს მოქალაქეებმა, თუ ისინი აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ისრაელში, უკრაინაში, თურქეთში... მოგზაურობას გეგმავენ.

ამერიკის შეერთებული შტატები

დავიწყოთ ზოგადი ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განკარგულებით, 6 დეკემბრიდან, მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის შემდეგი წესები:

აშშ-ში დროებით მიმავალმა, უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქემ (non-citizen, non-immigrant), უნდა წარადგინოს ფრენამდე ერთი კალენდარული დღით ადრე გაკეთებული კორონავირუსის ტესტის უარყოფითი პასუხი, ან COVID-19-ის გადატანის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ფრენამდე, მაქსიმუმ, 90 დღით ადრეა გაცემული.

აქამდე არსებული ყველა შეზღუდვა შენგენის წევრ ქვეყნებზე, რომელიც ქმნიდა სატრანზიტო ფრენებზე დაბრკოლებას, მოხსნილია.

სრულად ვაქცინირებულად ჩაითვლება პირი, რომელსაც შესვლამდე, მინიმუმ, 14 დღით ადრე აქვს ჩატარებული FDA-ის ან WHO Emergency Use List-ის ვაქცინების სრული კურსი:

1 დოზა – Janssen/J&J;

2 დოზა – Pfizer-BioNTech; Moderna; AstraZeneca; Covishield; BIBP/Sinopharm; Sinovac.

18 წლამდე ასაკის პირებს არ მოეთხოვებათ ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, თუმცა ბავშვებისთვის 2 წლის ასაკიდან, წარსადგენია ფრენამდე ერთი კალენდარული დღით ადრე გაკეთებული კორონავირუსის უარყოფითი ტესტი.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

2022 წლის 18 მარტიდან (ლონდონის დროით, 04:00 საათიდან), დიდ ბრიტანეთში გაუქმდა საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული, აქამდე მოქმედი ყველა კოვიდ-რეგულაცია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში შესვლისას, სავალდებულო აღარაა, ვაქცინაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის ან/და PCR ტესტის პასუხის წარდგენა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბრიტანეთში შესასვლელად, საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ შესაბამისი კატეგორიის ვიზა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

საქართველოდან გერმანიაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სრულყოფილად ვაქცინირებული პირებისთვის (მგზავრობის ნებისმიერი მიზნის შემთხვევაში, მათ შორის, ტურისტული მიზნით). დასაშვებია მხოლოდ ევროპის წამლის სააგენტოს (EMA) მიერ გამოსაყენებლად ნებადართული ვაქცინები:

Comirnaty;

Spikevax – COVID-19 Vaccine Moderna; COVID-19 Vaccine Janssen; Vaxzevria – COVID-19 Vaccine AstraZeneca; Nuvaxovid ვაქცინები (დაშვებულ ვაქცინათა სია განახლებადია).

ბოლო აცრიდან გასული უნდა იყოს 14 დღე (ვაქცინაციის ვალდებულებაა 12 წლის ასაკიდან).

იტალიის რესპუბლიკა

აპენინებზე გაუქმდა რისკის ქვეყნების სია, მათ შორის, E კატეგორიის, რომელშიც შედიოდა საქართველო. შესაბამისად, იტალიის ტერიტორიაზე შესვლის მარეგულირებელი წესები სტანდარტულ პირობებს დაუბრუნდა.

საქართველოდან მიმავალმა მგზავრმა იტალიის ტერიტორიაზე შესვლისას (გარდა უვიზო მიმოსვლის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა), უნდა წარადგინოს:

მგზავრის ლოკატორის ფორმა: კოვიდ-პასპორტი, გამოჯანმრთელების მოწმობა, მოლეკულური ან ანტიგენის ნეგატიური ტესტის სერტიფიკატი.

მგზავრი, რომელიც აცრილია ევროპის წამლის სააგენტოს (EMA) მიერ ავტორიზებული ვაქცინით (Moderna, Pfizer, Astra Zeneca, Johnson & Johnson) – წარადგენს კოვიდ-პასპორტს;

არავაქცინირებულმა ან არაავტორიზებული ვაქცინით აცრილმა მგზავრებმა უნდა წარადგინონ მოლეკულური ან ანტიგენის სწრაფი ტესტი.

თუ მგზავრები ზემოაღნიშნული სერტიფიკატებიდან ვერცერთს ვერ წარადგენენ, დაექვემდებარებიან ხუთდღიან თვითიზოლაციას და ვალდებულები იქნებიან, ამ პერიოდის ბოლოს, მოლეკულური ან ანტიგენის სწრაფი ტესტი ჩაიტარონ.

საბერძნეთის რესპუბლიკა

7 თებერვლიდან, საქართველო დაემატა იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებიც საბერძნეთში ნებისმიერი მიზნით შევლენ. ამასთან, მგზავრი ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთს უნდა აკმაყოფილებდეს:

ვაქცინირებულია გამგზავრებამდე, არანაკლებ 14 დღით ადრე ან ფლობს ვაქცინაციის მოწმობას, რომელიც ვალიდურად ითვლება ვაქცინაციის ბოლო დოზის მიღებიდან მომდევნო ცხრა (9) თვის განმავლობაში;

წარადგენს COVID-19-ისგან გამოჯანმრთელების დამადასტურებელ საბუთს, გაცემულს ვირუსის დადასტურებიდან მე-14 დღეს – 180-დღიანი მოქმედების ვადით;

წარადგენს ბოლო 72 საათის განმავლობაში გაკეთებული PCR ტესტის ან ბოლო 24 საათის განმავლობაში გაკეთებული ანტიგენის სწრაფი ტესტის უარყოფით პასუხს. დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე;

საბერძნეთის მიერ აღაირებული ვაქცინებია: Pfizer BioNtech, Moderna, Astra Zeneca/Oxford, Novavax, Johnson & Johnson/ Janssen, Sinovac Biotech, Gamaleya (Sputnik), Cansino Biologics, Sinopharm.

ისრაელის სახელმწიფო

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, COVID-19-ის ახალი მუტაციის გავრცელებისგან თავის აცილების მიზნით, 29 ნოემბრიდან 2 კვირის მანძილზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქვეყანაში შესვლა აიკრძალა, ხოლო ისრაელის მოქალაქეები ქვეყანაში შესვლისას, დაექვემდებარებიან კარანტინს.

ისრაელში აღიარებული ვაქცინებია: Pfizer, Moderna, Johnson & Johnson, AstraZeneca, Sinovac, Sinopharm, Serum Institute of India, Sputnik V ვაქცინა ასევე აღიარებულია ისრაელში.

უცხოელი, რომელსაც სურს ისრაელში შესვლა, გაივლის რამდენიმესაფეხურიან პროცედურას:

PCR ტესტი უნდა ჩატარდეს ისრაელში გაფრენამდე 72 საათით ადრე;

უნდა შეივსოს ისრაელში შესვლის დეკლარაციის ფორმა;

ე.წ გადამოწმებადი ელექტრონული სერტიფიკატის მფლობელები – დაასკანერებენ ან ატვირთავენ ვაქცინაციის ან გამოჯანმრთელების მოწმობას შემსვლელი მგზავრის სააპლიკაციო ფორმაში და მიიღებენ მწვანე საშვს თვითმფრინავში ჩასხდომამდე (ბორდინგის გამოცხადებამდე);

ვისაც არ აქვს გადამოწმებადი ელექტრონული სერტიფიკატი – დაურთავენ აცრის დამადასტურებელ დოკუმენტს ისრაელში შესვლის დეკლარაციის ფორმაში, ასევე, შეავსებენ საზღვარგარეთ ვაქცინის მიღების ფორმას და მიიღებენ მწვანე საშვს ჩასხდომამდე;

თვითმფრინავში ასვლისას, უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

– უარყოფითი PCR ტესტის წარდგენა, 72 საათის მოქმედების ვადით;

– შესვლის ნებართვა, მიღებული წინასწარი შევსებული სააპლიკაციო ფორმის თანახმად;

– ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

ვაქცინაციის მოწმობა, რომელიც ადასტურებს ვაქცინაციის შესრულებას მოთხოვნების შესაბამისად;

ელექტრონული გამოჯანმრთელების (recovery) სერტიფიკატი;

შესვლის სპეციალური ნებართვა, გაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროდან (გამონაკლისები, ჯგუფები);

ბენ გურიონის აეროპორტში, საბუთების შემთხვევითი ექსპერტიზა და პირობების დაცვა ჩატარდება მოსახლეობისა და იმიგრაციის ორგანოს მიერ;

PCR ტესტი უნდა ჩატარდეს ბენ გურიონის აეროპორტში დაფრენის შემდეგ და მოგზაურები გადავიდნენ იზოლაციაში – უარყოფითი შედეგის მიღებამდე ან 24 საათის განმავლობაში (Sputnik V-ით ვაქცინირებულისთვის – სეროლოგიური ტესტი უნდა ჩატარდეს ბენ გურიონის აეროპორტში და გადავიდეს იზოლაციაში, სანამ დადებითი შედეგი არ მიიღება);

უკრაინის რესპუბლიკა

უკრაინის რესუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქეების მოგზაურობა დასაშვებია ნებისმიერი მიზნით. საზღვარზე მოქალაქემ უნდა წარადგინოს:

დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს COVID-19-ის ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარების ფაქტს (ე.წ. COVID-19 ბარათი) – ჯანმო-ს მიერ საგანგებო სიტუაციებში გამოყენებისთვის დაშვებული ვაქცინების ჩამონათვალში შეტანილი ვაქცინებით;

დასასრული მე-8 გვერდზე

მე-7 გვერდიდან

პანდემიური მოგზაურობის წესები

სადაზღვევო პოლისი, რომელიც გაცემულია უკრაინაში რეგისტრირებული სადაზღვეო კომპანიის ან უცხოურ სადაზღვევო კომპანიის მიერ, რომელსაც გააჩნია წარმომადგენლობა უკრაინაში ან სახელშეკრულებო ურთიერთობები პარტნიორ სადაზღვევო კომპანიასთან უკრაინაში, ფარავს COVID-19-ის მკურნალობის, ობსერვაციის ხარჯებს და მოქმედებს უკრაინაში ყოფნის პერიოდის განმავლობაში;

ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხი;

კოვიდვაქცინის გარეშე შესვლის პირობები:

უკრაინის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის მოგზაურობა დასაშვებია ნებისმიერი მიზნით;

2021 წლის 5 აგვისტოდან, თვითიზოლაცია სავალდებულოა არავაქცინირიებული პირებისთვის, რომლებიც კვეთენ უკრაინის სახელმწიფო საზღვარს;

მოქალაქე, რომელიც არ არის ვაქცინირებული, ვალდებულია, მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთოს და გააქტიუროს ელექტრონული სერვისი – აპლიკაცია: „вдома“, რომელიც ითვალისწინებს 14-დღიან თვითიზოლაცია/ობსერვაციაზე მყოფი პირის იზოლაციაში ყოფნის კონტროლს; თუ პირი იმავე ან მომდევნო 14 დღის განმავლობაში, განმეორებით ჩაიტარებს PCR ტესტს და მიიღებს ნეგატიურ პასუხს, რაც ლაბორატორიის პასუხისთანავე აისახება ზემოხსენებულ პროგრამაში, ავტომატურად იხსნება იზოლაციიდან და შეუძლია თავისუფლად გადაადგილება.

შვეიცარიის კონფედერაცია

შვეიცარიამ აღიარა საქართველოში გაცემული ციფრული სერტიფიკატი, რომელიც ინტეგრირებულია EU Digital COVID Certificate ბაზებში (ინფორმაცია აისახა შვეიცარიის ჯანდაცვის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, 25 ნოემბერს, იხ. ბმული: The list of states with certificates recognised by Switzerland under the EU Digital COVID Certificate are updated on the FOPH website).

აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ აღნიშნული სერტიფიკატები, როგორც საზღვარზე წარსადგენად, ისე შვეიცარიის ტერიტორიაზე, დახურულ სივრცეებში დასწრების მიზნით.

კოვიდვაქცინით შესვლის პირობები:

2021 წლის 26 ივნისიდან, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ შვეიცარიაში გამგზავრება, საზღვარზე კოვიდვაქცინის სრული დოზის გაკეთების დამადასტურებელი, მოქმედების ვადის მქონე დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

დაშვებული ვაქცინებია:

Pfizer/Pfizer/BioNTech (BNT162b2 / Comirnaty® / Tozinameran);

Moderna (mRNA-1273 / Spikevax / COVID-19 vaccine Moderna);

AstraZeneca (AZD1222 Vaxzevria®/ Covishield™);

Janssen / Johnson & Johnson (Ad26.COV2.S);

Sinopharm / BIBP (SARS-CoV-2 Vaccine (Vero Cell));

Sinovac (CoronaVac);

საზღვრის კვეთისას, სავალდებულოა ვაქცინის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა (ე.წ. COVID-19 ბარათი – QR კოდით);

სრულად ვაქცინირებულ საქართველოს მოქალაქეებს არ სჭირდებათ დამატებითი ნებართვა შვეიცარიაში შესასვლელად.

თურქეთის რესპუბლიკა

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრება ნებისმიერი მიზნით.

საზღვრის კვეთისას, სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტებიდან ერთ-ერთის წარდგენა:

კოვიდ-ვაქცინის სრული კურსის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაქცინის ბოლო დოზიდან გასული უნდა იყოს 14 დღე);

ბოლო 6 თვის განმავლობაში, COVID19-ით ინფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი (6 თვე აითვლება პირველი პოზიტიური PCR ტესტის ჩატარების თარიღიდან 28 დღის შემდეგ);

გამგზავრებამდე უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში ჩატარებული სწრაფი ტესტი ან 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR ტესტის უარყოფითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი (სავალდებულოა 12 წლის ასაკიდან).

შენიშვნა: აღნიშნული რეგულაცია არ ეხებათ ტრანზიტულ მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებს!

იაპონიის სახელმწიფო

საქართველოში, კორონავირუსის ახალი, „ომიკრონ“ ვარიანტის გამოვლენის გამო, იაპონიის სახელმწიფოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 26 დეკემბრის 00:00 საათიდან, საქართველოდან მიმავალი ნებისმიერი პირის (მათ შორის, იაპონიის მოქალაქეების, ასევე, ბინადრობისა და ვიზის მფლობელი პირების) მიმართ გავრცელდება მთავრობის მიერ განსაზღვრულ საკარანტინე სივრცეში (კოვიდ-სასტუმრო) სამი დღით გადასვლის ვალდებულება;

იაპონიაში ჩასვლისას, ვიზიტორებმა აეროპორტშივე უნდა ჩაიტარონ კოვიდ-ტესტირება. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მათ სამი დღით გადაიყვანენ კოვიდ-სასტუმროში. სამი დღის შემდეგ ჩატარებული კოვიდ-ტესტის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ისინი კოვიდ-სასტუმროს დატოვებენ, თუმცა შემდეგი 11 დღის განმავლობაში, საკუთარ საცხოვრებელში უნდა დარჩნენ (იაპონიაში შესვლიდან, ჯამში, 14 დღის გასვლამდე);

პირის საკარანტინე სივრცეში გადაყვანის ხარჯებს ფარავს სახელმწიფო;

სამდღიანი სავალდებულო კარანტინისგან თავისუფლდებიან დიპლომატიური პასპორტის მქონე პირები, მათ იაპონიის საზღვრის კვეთიდან მესამე დღეს უნდა ჩაიტარონ PCR კვლევა საკუთარი ხარჯებით.

ამ ეტაპზე, იაპონიაში შესვლა აკრძალულია მსოფლიოს 159 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისთვის – 2020 წლის 1 ივლისიდან;

მოგზაურობა დასაშვებია მხოლოდ დიპლომატიური და ოფიციალური ბინადრობის ნებართვის მქონე, ასევე, დიპლომატიური და ოფიციალური პასპორტის მქონე პირებისთვის, რომლებიც ოფიციალური ვიზიტით ან სხვა მიზეზით შედიან იაპონიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიზის მოთხოვნის უფლება ეძლევათ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებს:

უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომლებმაც უნდა განაახლონ მუშაობა ან ბიზნესსაქმიანობა სხვადასხვა სფეროებში.

გადაუდებელი საჭიროების არსებობისას, ჩინეთის მოქალაქეების ან ჩინეთში მუდმივი ბინადრობის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ოჯახის წევრებს, მათ შორის, მეუღლეს, მშობლებს, შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს (და-ძმა, ბებია, ბაბუა და შვილიშვილები), ოჯახის გაერთიანების მიზნით, ნათესავების მოსანახულებლად, დაკრძალვაზე დასასწრებად, ავადმყოფი ნათესავების მოსანახულებლად;

აზიისა და წყნარი ოკეანეთის თანამშრომლობის ორგანიზაციის (APEC) მოქმედი ბიზნეს სამგზავრო ბარათის მფლობელებს შეუძლიათ, სავიზო განაცხადის წარდგენა M-კატეგორიის (კომერციული და სავაჭრო საქმინაობა) ვიზაზე, თუ წარმოადგენენ შესაბამის მოქმედ ბარათს და ჩინური მხარის მიერ მიღებულ მიწვევას;

ნებისმიერმა მგზავრმა (მიუხედავად ვაქცინაციისა), გამგზავრებამდე 48 საათის პერიოდში, უნდა ჩაიტაროს ნუკლეინის მჟავისა და IgM ანტისხეულების ტესტები;

ორივე ტესტის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მგზავრი უნდა დარეგისტრირდეს, შეავსოს „ჯანმრთელობის დეკლარაცია“ და ატვირთოს ლაბორატორიის პასუხები სპეციალურ ვებ-გვერდზე;

ჩინეთის საელჩო, მონაცემთა გადამოწმების შემდეგ, განმცხადებელს გაუგზავნის მწვანე QR კოდს, რაც იძლევა თვითმფრინავში ჩაჯდომის ნებართვას. QR კოდის წარდგენა შესაძლებელია, როგორც ელექტრონული, ისე ამობეჭდილი ფორმით. ტესტების ჩატარება სავალდებულოა ნებისმიერი ასაკის პირისთვის.

სამართალი
№15 20 აპრილი 2022 წ

ექსკლუზივი: ნიკა კვაარაცხელიას მკვლელობისთვის მსჯავრდებულები სასჯელის გასაჩივრებას აპირებენ

ბათო ჯაფარიძე

2021 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, 22 წლის ნიკა კვარაცხელია ჩაცხრილეს. თითქმის ერთთვიანი ძებნის შემდეგ, სამართალდამცავებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება – აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ კვარაცხელიას სწორედ ჭელიძემ ესროლა (რაც სათვალთვალო კამერების ჩანაწერებშიც ჩანს), მკვლელი კი ადგილზე კავილაძემ მიიყვანა. სასამართლოს მიმდინარეობისას, ბრალდებულები ამტკიცებდნენ, რომ ეს არ იყო ჯგუფური დანაშაული, როგორც მათ პროკურატურა ედავებოდა, არამედ, მკვლელობა ჭელიძემ ჩაიდინა (მიზეზი დღემდე არ დაუსახელებია), ხოლო კავილაძემ არც კი იცოდა, რომ მის მეგობარს იარაღი ჰქონდა და ვიღაცის მოკვლას აპირებდა. საბოლოოდ, სასამართლომ მათი ჩვენება არ გაითვალისწინა, აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე დამნაშავედ სცნო ნიკა კვარაცხელიას განზრახ ჯგუფურ მკვლელობაში, ჯგუფურად იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაში. საქმეზე ცალკეა გამოყოფილი კიდევ ერთი დაკავებულის მიმართ წარდგენილი ბრალდება, რომელსაც პროკურატურა დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება. შედეგად, მოსამართლემ ჭელიძეს – 17, ხოლო კავილაძეს – 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ვიყოთ გულწრფელები და ვაღიაროთ, რომ ბევრი სამუდამო პატიმრობას ელოდა, მაგრამ 17 და 16 წელიც ცოტა ნამდვილად არ არის.

> უნდა გაიზარდოს თუ არა „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის პატიმრობა – ყოფილი კრიმინალის მოსაზრება

მართალია, სასამართლოს შემდეგ, ბრალდებულების ადვოკატებს ხმამაღლა არ უთქვამთ, განაჩენის გასაჩივრებას რომ აპირებენ, მაგრამ როგორც გვეუბნებიან, განაჩენი გასაჩივრდება და დაცვის მხარე შეეცდება დაამტკიცოს, რომ ბრალდებულები ჯგუფურად არ მოქმედებდნენ და კავილაძემ არაფერი იცოდა. ასეთ შემთხვევაში, ჭელიძეს 2-3 წელი ჩამოაკლდება, კავილაძეს – ათზე მეტი, თუმცა ძალიან, ძალიან საეჭვოა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენი შეცვალოს.

კრიმინალურ წრეებში (და არა მარტო), აქტიურად მიდის იმის განხილვა, რა გაგრძელება მოჰყვება ყველაფერ ამას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ბევრი ფიქრობს, რომ კავილაძე და ჭელიძე ნახევრად ღია დაწესებულებაში გადასვლას არ მოისურვებენ, თუმცა როგორი გასატარებელია სამარტოო საკანში ასეთი „სროკი“, თავად განსაჯეთ. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მოკლული ნიკა კვარაცხელია ცნობილი „კანონიერი ქურდის“, გია კვარაცხელიას შვილია და რაღა თქმა უნდა, არსებობს იმის ალბათობა, რომ შვილის სიცოცხლის გამო, მამამ შური იძიოს.

სამარტოო საკანში ყოფნის მაგალითი ქართული სინამდვილისთვის ახალი არაა – 2016 წლის 2 სექტემბერს, ვაკეში, სოსო ჯოხაძის მკვლელობისთვის გასამართლებული ბადრი (იგივე ბადუკა) ნათობაძე, მეექვსე წელია, სამარტოო საკანშია და დუმილი მხოლოდ ერთხელ, შარშან დაარღვია. ეს მაშინ, როცა კიევში, კრიმინალური ავტორიტეტი, ირაკლი მალანია ჩაცხრილეს. ამ საქმეში ეჭვმიტანილი ნოდარ ნიშნიანიძეა, რომელიც ნათობაძის მეგობარია, ნათობაძემ ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ჩართვის დროს აღიარა, რომ ნიშნიანიძესთან მეგობრობს, თუმცა მალანიას ჩაცხრილვასთან მეგობრის კავშირი გამორიცხა. იმავე ჩართვაში, ნათობაძემ მუქარაც გააჟღერა – შეგვეშვით მე და ჩემს სამეგობროს, ვინც ასეთ ხმას ავრცელებთ, ერთი ადგილი დააყენეთო. მოკლული მალანია ჯოხაძის უახლოესი მეგობარი იყო.

ეს საქმე შემთხვევით არ გაგვიხსენებია – მაშინაც, როგორც ახლა, კვარაცხელიას შემთხვევაში, საზოგადოებამ სათვალთვალო კამერებით გადაღებული კადრები იხილა და ორივე შემთხვევაში, შედეგი ერთი იყო – ახალგაზრდა კაცი ქუჩაში ჩაცხრილეს. ნათობაძის საქმეზე მოსამართლემ ბრალდებულს 19-წლიანი სასჯელი შეუფარდა, კვარაცხელიას საქმეზე ბრალდებულს – 17 წელი.

ზოგადად, ახალი წლის შემდეგ, სამართალდამცავებმა საქართველოში ათზე მეტი პირი დააკავეს, რომელთაც ბრალად „ქურდული სამყაროს“ წევრობა ედებოდათ. სამწუხაროდ, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი კვლავ ფიქრობს, რომ უფლება აქვს, ბიზნესმენები დაატერორეს, „ქურდული საერთოსთვის“ ფული შეაწეროს და ურჩებს კვლავ ემუქრებიან ოჯახის წევრთა მოკვლით, გატაცებით...

რასაც ახლა გეტყვით, გაგიკვირდებათ და... ზუსტად ვიცით მიზეზი, რატომ მომრავლდა ახალგაზრდებში ამ დანაშაულისკენ მიდრეკილება. მოდით, ჯერ სასჯელის სახეობას გავეცნოთ და ვნახოთ, რა წერია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-1-ე მუხლში.

„მუხლი 223-1: „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“:

1. „ქურდული სამყაროს“ წევრობა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ;

2. „კანონიერი ქურდობა“ – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს და მისი საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად, ირკვევა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა ან/და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ასეთი დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, თუკი მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო“.

„სასამართლოს გადაწყვეტილებებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ მოსამართლეები, ძირითადად, შვიდწლიან სასჯელს უფარდებენ ამ მუხლით ბრალდებულებს, რაც ძალიან ბევრს აწყობს. ამ მუხლით გასამართლებული აუცილებლად ცდილობს მომავალში „კანონიერი ქურდი“ გახდეს და რისკავს. თუ არ დაიჭერენ, სათქმელი ექნება, „ქურდულად ცხოვრობდა, ძმაო“ და თუ დაიჭერენ, 7 წლის შემდეგ, ლამის, გარანტირებულაად აქვს სტატუსი, რამეთუ „ქურდულს დასჭირდა და ციხეში იჯდა, ძმაო“... 19-20 წლის ბიჭები ამ მუხლით სიხარულით მიდიან ზონაზე, იქიდან 26-27 წლის ასაკში გამოდიან, მაშინვე ტოვებენ ქვეყანას და ევროპაში ცდილობენ, „საქმე მოაგვარონ“. გამოსავალი კონკრეტულად ამ მუხლზე სასჯელის გაზრდაა ანუ „ქურდული სამყაროს წევრობა“, ყველაზე ცოტა, 10 წლით უნდა დაისაჯოს და მერწმუნეთ, ენთუზიაზმიც მოკვდება“, – ეს განცხადება ჩვენთან, ევროპაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ყოფილმა კრიმინალმა გააკეთა. ყოფილმა იმიტომ, რომ ევროპაში „საქმის მოსაგვარებლად“ წასული მიხვდა, სამყაროს წინაშე სხვა გამოწვევები იყო და 27 წლის კაცს, „კანონიერ ქურდობაზე“ ბევრად დიდი ოცნებები უნდა ჰქონოდა.

რამდენად უშველის სასჯელის გაზრდა დანაშაულის შემცირებას, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი პერიოდი, ზედმეტად გაზრდლმა სასჯელებმა (ხშირ შემთხვევაში, არარეალურადაც კი) შედეგი მოიტანა და დანაშაულმა იკლო. დიდი სასჯელის შიშით, ბევრი ვერ ბედავდა დანაშაულის ჩადენას და ეგებ, ამ მეთოდმა ახლაც გაამართლოს, კონკრეტულად ამ მუხლთან მიმართებაში.

საქმროს საცოლეს ბებია შემოაკვდა

სათვალის ნამსხვრევით გახსნილი მკვლელობა

ბათო ჯაფარიძე

როცა ადამიანი შინ კვდება, იშვიათია, ოჯახის წევრები ექსპერტიზას დათანხმდნენ. მიზეზი მარტივია – ოჯახის წევრებს არ სურთ, რომ გარდაცვალების შემდეგ, მათი საყვარელი ადამიანი კიდევ „აწამონ“, გაკვეთონ, ანალიზები აუღონ... მათ ხომ ისედაც იციან, რით და რა ვითარებაში გარდაიცვალა...

„ერთ დღეს, კონკრეტულ მისამართზე გამოგვიძახეს. ოჯახის წევრები ამბობდნენ, ჩვენი ბებია უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპაო და მხოლოდ ერთადერთი შვილიშვილი, 20 წლის გოგონა გაჰკიოდა ბოლო ხმაზე, გინდა თუ არა, ბებია ექსპერტიზაზე გადაასვენეთ, სიკვდილის რეალური მიზეზი რომ დადგინდესო. მისი ასეთი ახირება ვერავის აეხსნა, მაგრამ რადგან დანარჩენებმა ვერ გადააფიქრებინეს, 90-ს მიტანებული, ფაშფაშა ქალი ექსპერტიზაზე გადაიყვანეს“, – იხსენებს ძალიან საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ის პერიოდია, როცა ექსპერტიზას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რაც მთავარია, ახალი ტექნოლოგიები შემოდის. ოფიციალური ვერსიით, ბებია უხერხულად წაიქცა, კეფა იატაკზე მდგარ ჭიქას დაარტყა, ჭიქა გატყდა და ქალს კეფაში შეერჭო. ის ადგილზე გარდაიცვალა და ამ დროს, მის გარდა, შინ არავინ იყო. მალე შვილი დაბრუნდა, ცოლთან ერთად, შემდეგ შვილიშვილიც მოვიდა და იმის მიუხედავად, რომ სასწრაფო დახმარების მანქანაცა და უბნის რწმუნებულიც ადგილზე დახვდნენ, გოგონა ლამის ისტერიკაში ჩავარდა, ბებია ექსპერტიზაზე გადაიყვანეთო.

ყველაფერთან ერთად, ექსპერტმა სახლშიც იმუშავა და გატეხილი ჭიქის ნამსხვრევები სულ სათითაოდ შეაგროვა, კარადაც კი გამოსწია, ერთი ნამსხვრევი იქაც არისო.

პრაქტიკულად, ექსპერტმა ახალი არაფერი თქვა, ქალს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა, მკერდთან მცირე ჩალურჯება კი ჰქონდა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ შესაძლებელი იყო, ეს საკუთარი ხელითაც მიეღო, მაგალითად, ხველების დროს, მკერდში რომ ჩაერტყა. არანაირი საძილე საშუალება, არანაირი სხვა გარე ზემოქმედების ნიშანი, თუმცა...

„საბედნიეროდ, ბევრი გვამი არ იყო და უსაქმოდ ყოფნას თქვენი მოტანილი ჭიქის აწყობა გადავწყვიტე. ჰოდა, ავაწყვე ჭიქა და ერთი ნატეხი ზედმეტი აღმოჩნდა, არადა, ახალი ნატეხია, მასზე კი სისხლია ანუ ის იმ დროს მოხვდა ბინაში, როცა ეს ქალი მოკვდა. დეტალური ექსპერტიზის შემდეგ კი დავადგინე, რომ ეს არის სათვალის ნატეხი და მის მფლობელს მხედველობის პრობლემა აქვს, +2.5-ია. ამასთან, სათვალეზე ბებიის სისხლის გარდა, იყო კიდევ სხვა სისხლი – მამაკაცის ანუ სავარაუდო მკვლელის და ბებიას ხელი ოდნავ გასერილი აქვს, ისე ჩანს, თითქოს ხელისგული მიარტყა ვიღაცას თვალთან და სათვალე ჩაუმსხვრია“, – უთხრა ექსპერტმა გამომძიებელს.

ექსპერტის დასკვნა შოკისმომგვრელი იყო. ყველა ელოდა, რომ შვილიშვილი, უბრალოდ, აჭარბებდა, ახლა კი აშკარად მკვლელობა იყო, მაგრამ როგორ, რანაირად? მოხუც ქალს, წესითა და რიგით, არც შვილი მოკლავდა, არც – რძალი და მით უმეტეს, არც – შვილიშვილი, რომელიც ბოლო ხმაზე გაჰკიოდა, ექსპერტიზის ჩატარებას ვითხოვო. ლოგიკურად გაჩნდა ეჭვი, რომ შვილიშვილმა რაღაც იცოდა და ვარაუდობდა, რომ შესაძლოა, ბებია ვინმეს მოეკლა, ამიტომ დაკითხვაზე დაიბარეს.

„თქვენ, ალბათ, ხუმრობთ. რას ჰქვია, ეჭვი მკვლელობაზე გაქვთ, ვის უნდა მოეკლა ბებიაჩემი?“ – პირი დააღო შვილიშვილმა და არანაკლებ გაოცებულ გამომძიებლებს შეხედა.

სამართალდამცავებმა გაახსენეს, როგორი განწირული ხმით ყვიროდა გოგონა, ბებია ექსპერტიზაზე წაიყვანეთ, ისე არ დავმარხავო და შვილიშვილმაც ყველაფერი მარტივად ახსნა.

„დაახლოებით, ორი თვის წინ, ჩვენი ოჯახის მეგობარი ადვოკატი მოვიდა და გვითხრა, რომ ბებიამ ანდერძი დაწერა. ყველაფერი, რაც გვაქვს, სწორედ მის სახელზეა და მართალია, ადვოკატს დეტალები არ უთქვამს, მაგრამ მე თვალი ჩამიკრა და ცუდად იხუმრა, ყველაზე მეტად, ბებიის სიკვდილი ამას აწყობსო. ამიტომაც, სწორედ ის სიტყვები გამახსენდა და ისტერიკაც მაგიტომ დამემართა“, -განაცხადა გოგონამ.

გამომძიებლებმა სათვალის ნატეხის შესახებ არც მას და არც ოჯახის სხვა წევრებს არაფერი უთხრეს, გადაამოწმეს, რომელი იყენებდა სათვალეს და აღმოჩნდა, რომ სათვალე ოჯახის ერთ წევრსაც არ ეკეთა, ბებია კი -1.5-ს მოიხმარდა. დაიწყო გრძელი პროცესი.

„სათვალის ნატეხი ჩვენი მთავარი სამხილი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაგვიხარდებოდა, როცა გავიგეთ, რომ ჩვენთვის საჭირო ზომა სათვალეს, სწორედ გოგონას მიერ ნახსენები ადვოკატი ხმარობდა. რაც მთავარია, მისი ნახვის შემდეგ, ეჭვი უფრო გაგვიმყარდა, რადგან ადვოკატს თვალთან მცირე ზომის ნააიარევი ეტყობოდა, რომელზეც აგდებულად თქვა, სათევზაოდ ვიყავი და ხის ტოტს „წავახიეო“. ახლა მთავარი ის იყო, რა ეწერა ანდერძში და რამდენად ჰქონდა ადვოკატს ბებიის მოკვლის მოტივი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საინტერესოა ისიც, რომ გარდაცვლილი კარს ყოველთვის კეტავდა ანუ მკვლელს კარი თავად გაუღო და ბინაში შეუშვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იცნობდა. ადვოკატის ვერსია სარწმუნოდ ამიტომაც ჩანდა, თუმცა გამოძიებას სამი იმედგაცრუება ელოდა – პირველი ის, რომ ადვოკატის სისხლის ჯგუფი არ დაემთხვა სათვალეზე აღმოჩენილს და მეორე, ანდერძში არაფერი იყო ნათქვამი ადვოკატზე ანუ იქ ეწერა, რომ ადვოკატმა მომსახურებისთვის ჯამაგირი მიიღო, მისთვის არაფერი იყო გადასახდელი და ყველაფერს ერთადერთ შვილიშვილს ანუ გოგონას უტოვებდა. ყველაფერში კი, ორი ბინის გარდა, აგარაკიც შედიოდა.

და მესამე – ადვოკატის მეგობრებმა დაადასტურეს, რომ მან თვალთან დაზიანება მართლაც თევზაობის დროს მიიღო.

გამოძიება ჩიხში შევიდა. გამომძიებლებმა სამეზობლოს მამაკაცებიც კი გადაამოწმეს, საჭირო ნომრით სათვალე მხოლოდ ერთს ჰქონდა, მისი სისხლის ჯგუფიც შეამოწმეს, მაგრამ ამაოდ. რომ არა უცხო და რაც მთავარია, ახალი სისხლი სათვალის ნატეხზე, გამომძიებლები ჩათვლიდნენ, რომ ეს სათვალე წლების წინ გაუტყდა ვინმეს, მაგრამ ახლა ფაქტს ვერ ემალებოდნენ – ნატეხი ადგილიც ახალი იყო და რაც მთავარია, სისხლი, რომელსაც ვერსად გაექცეოდნენ. გადაწყდა, ოჯახის წევრებისთვის ეკითხათ, იყო თუ არა მათ შორის ისეთი, ვინც +2.5 სათვალეს ატარებდა და პირდაპირ თუ ირიბად, ბებიის მოკვლის სურვილი ექნებოდა. რატომღაც, პირველად ისევ შვილიშვილის დაკითხვა გადაწყდა. როცა ის გამოკითხვაზე დაიბარეს, ახალგაზრდა კაცი მიჰყვა, რომელზეც გოგონამ მორიდებით თქვა, ჩემი საქმროაო.

„საქმროს შევხედე და სახე ვერ გავარჩიე, რადგან მხოლოდ ორ რამეს ვხედავდი – ნაიარევს თვალთან და სათვალეს. გოგონა დასაკითხ ოთახში შევიყვანე, ოპერმუშაკებს კი ვუთხარი, რომ მამაკაცისთვის სისხლის ანალიზი აეღოთ და სათვალის ზომაც შეემოწმებინათ. დაკითხვა მაქსიმალურად გავწელე, შვილიშვილს სათვალეზე კვლავ არაფერი ვუთხარი, შიგადაშიგ საქმროზეც ვკითხე, არჩევანი შევუქე და მითხრა, ბებიის სიკვდილი რომ არა, ქორწილსაც ვაპირებდით, ახლა ცოტა ხნით გადავდეთო. ამ დროს მაგიდაზე ორივე ანალიზის პასუხი დამიდეს – გამოძიებისთვის მეტად საჭირო პასუხი. გოგონას დავემშვიდობე და ისე, რომ არც მითქვამს მისი საქმროს დაკავების ამბავი, შინ გავისტუმრე. კი გაუკვირდა, რატომ არ დამელოდა, ალბათ, საქმე გამოუჩნდაო, მაგრამ უდარდელად წავიდა. მე კი მკვლელთან საუბარი მელოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„ჩემი არაფერი გამაჩნია, ნაქირავებში ვცხოვრობ. ბედმა ამ გოგოს შემახვედრა, რომ გითხრათ, გავგიჟდი-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ კარგი ვარიანტი იყო, დედისერთა, შეძლებული. წინა დღეს გამიმხილა, ადვოკატი გამეხუმრა, მგონი, ბებია ყველაფერს მე მიტოვებს, მშობლებზეც კი აღარ ვიქნები დამოკიდებულიო. რა თქმა უნდა, სიხარულით კინაღამ გავგიჟდი, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ჭერი მექნებოდა, თუმცა... პარალელურად, მყავდა შეყვარებული, რომელიც ნამდვილად მიყვარდა. მას შევხვდი, უნდა ამეხსნა, რომ ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თავდავიწყებით ვკოცნიდი, როცა თავზე ბებია დამადგა და მითხრა, ჩემს შვილიშვილს დაემშვიდობე, ახლოს არ გაგაკარებო. თავზარი დამეცა, ცოტა ხანი ფეხზე ადგომაც ვერ მოვახერხე, მერე კი წავედი, რათა როგორმე ბებია გადამერწმუნებინა. კარი გამიღო, ოთახში შემიძღვა, ჭიქით წყალს სვამდა და ჯერ წყალი შემასხა სახეში, მერე ხელი დამარტყა თვალთან. ინსტიქტურად ვკარი ხელი, ჭიქამ რა ტრაექტორია მოხაზა, ახლაც არ ვიცი, მაგრამ ჯერ ჭიქა დაეცა და წამის მეათასედში – ბებია კეფით. იქვე გათავდა. სათვალის ნამსხვრევები მოვაგროვე, მეგონა, ყველა ვიპოვე და ბინიდან გავედი. შემდეგ მუდმივად ვკითხულობდი, რას აკეთებდა გამოძიება და რადგანაც სათვალესა და ჩემს სისხლზე სიტყვაც კი არავინ დაძრა, ჩავთვალე, რომ გამოვძვერი. დაკითხვაზე წამოსვლა თავად მთხოვა და მეც სწორედ ამიტომ გავრისკე, მჯეროდა, რომ ჩემზე არაფერი გქონდათ“, – აღიარა დაკავებულმა.

მომხდარის მიუხედავად, სასამართლომ ბიჭი გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის გაასამართლა და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ეკლესიისკენ შემობრუნება ეროვნულ მოძრაობასთან ერთად დაიწყო. გარდა იმისა, რომ ხალხმა ეკლესიებში სიარულს მოუხშირა, ტაძრების მშენებლობაც განახლდა და ბოლოს, შეიძლება ითქვას, ერთგვარად უკონტროლო სახე მიიღო. ახლავე აგიხსნით, რას ვგულისხმობთ „უკონტროლო სახეში“ – ვისაც ფული და სურვილი ჰქონდა, ლამის, სახლის წინ მოითხოვა ეკლესიის აშენება, ბევრმა საკუთარ უბანში ააშენა და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იხდიდა მშენებლობის ფულს – „კანონიერი ქურდი“ თუ მინისტრი. ეკლესიები შენდებოდა და თუ რეალურად ვიმსჯელებთ, მსოფლიოში მოსახლეობაზე პროცენტულად რომ ვიანგარიშოთ, ეკლესიების რიცხოვნობის მხრივ, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იქნება. მერე ბევრი რამ შეიცვალა, რიგითი, ანაფორიანი მამაოების გვერდით, ზედმეტად შეძლებული მღვდლები გამოჩდნენ და, ცოტა არ იყოს, სამღვდელოებისადმი რწმენა ამ აურაცხელმა სიმდიდრემ შეარყია, თუმცა, რა თქმა უნდა, დღესაც არიან ისეთი მღვდლები, რომლებსაც მრევლი თვალდახუჭული მიჰყვება.

მღვდელი კელიაში მოკლეს

ძვირადღირებული საბედისწერო ხატი – როგორ გავიდა პოლიცია დამნაშავე ტელეოპერატორის კვალზე

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მამაო იპოვეს გარდაცვლილი 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, ერთ-ერთი სოფლის ეკლესიის კელიაში. იმის გამო, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს, რადგან არავის სურდა, სასულიერო პირის მკვლელობა, მაგალთად, კომუნისტებს დაბრალებოდა, ან რომელიმე შეიარაღებულ დაჯგუფებას, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. ამიტომ, საქმის გამოსაძიებლად საუკეთესო მაძებრებს უხმეს.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში, მამაოს მცირე საამქრო ჰქონდა გახსნილი, სადაც ძირითადად, ყოფილ პატიმრებს ასაქმებდა. თავადაც ყოფილი პატიმარი იყო და ამიტომ, ამ მიმართულებით, დიდი სანაცნობო ჰყავდა. მგონია, რომ მკვლელი სწორედ იმ საამქროში უნდა ეძებოთ, რადგან ყველამ იცოდა – მამაო ახალი ჩარხებისთვის ფულს აგროვებდა, საწარმოს გაფართოება სურდა“, – უთხრა სოფლის უბნის რწმუნებულმა თბილისიდან ჩასულ გამომძიებლებს.

საამქროში, მთლიანობაში, 14 ყოფილი პატიმარი მუშაობდა. ეს არ იყო კონკრეტულად ერთი მუხლით გასამართლებულ ადამიანთა ერთობა – იქ იყვნენ მკვლელობის, ყაჩაღობის, ქურდობის, ძარცვის მუხლებით გასამართლებული პირები, რომლებიც მათ მიერვე, ეკლესიასთან ახლოს აშენებულ სახლში ცხოვრობდნენ, სოფლის ორი ხანშიშესული ქალი საკვებს უმზადებდა, ურეცხავდა, ულაგებდა და სანაცვლოდ, ხელფასს იღებდა. შემოსავალი კი ამ ადამიანებს სწორედ საამქროში გაკეთებული ნივთების გაყიდვიდან ჰქონდათ. იმასაც ამბობდნენ, საოცარ რამეებს ამზადებენო. ტერიტორიაზე შესულ გამომძიებელთა ჯგუფს შინიდან მხოლოდ ერთი კაცი გამოეგება, მშვიდად ახედ-დახედა მისულებს და ასევე, მშვიდად უთხრა, მკვლელს ჩვენც ვეძებთ და როცა ვიპოვით, დაგირეკავთ, გვამი რომ წაიღოთო.

სამართალდამცავებისთვის ეს განცხადება მოულოდნელი იყო, თუმცა აზრზე მალე მოვიდნენ და სახლში შესვლა მოითხოვეს. ყოფილი პატიმრები გამომძიებლებს მშვიდად შეხვდნენ, ყველა მათგანს ალიბი ჰქონდა ანუ იმ ღამეს, როცა მამაო დანით მოკლეს, ერთად იყვნენ, ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგს ეძინა, ზოგიც ტელევიზორს უყურებდა. მამაოს სახლამდე, დაახლოებით, 300 მეტრი იყო და იქ წასვლა-წამოსვლა, წესით, შეუმჩნეველი არავის უნდა დარჩენოდა, თანაც ექსპერტი ამბობდა, მამაოს დანა საძილე არტერიასთან ჩაარტყეს და მკვლელი სისხლით აუცილებლად დაისვრებოდაო. სისხლიან ტანსაცმელს კი ვინმე აუცილებლად შენიშნავდა.

უკან გამობრუნებული გამომძიებლები ეზოში გაფენილ სარეცხთან შეჩერდნენ. ერთ-ერთ პერანგს, რომელიც გასაშრობად იყო გაფენილი, მუქი ლაქები ეტყობოდა. პერანგის პატრონი იკითხეს, სახლის ერთ-ერთი ბინადარი იყო, რომელმაც დაადასტურა, მუქი ლაქები სისხლია, ხელი გავიჭერიო და შეხვეული ხელიც აჩვენა. პერანგი ექსპერტიზაზე მაინც წაიღეს და... ახალი ვერაფერი გაიგეს – სისხლი ყოფილ პატიმარს ეკუთვნოდა. რაც მთავარია, ჩარხების შესაძენად წაღებული ფული ადგილზე იყო, მცირე ზომის რკინის სეიფში, რომელიც კედელში იყო ჩაშენებული და სეიფის კოდი იქ მყოფმა ყველა ყოფილმა კრიმინალმა იცოდა ანუ მამაო ფულის გამო არ მოუკლავთ – შესაძლებელი იყო, რომელიმე ყოფილმა თანასაკნელმა, ძველი წყენა გაუხსენა. გადაქექეს მისი საქმეები, ბევრი იმუშავეს, მაგრამ ამაოდ – ვერავინ ნახეს ისეთი, ვინც მამაოზე აუგს იტყოდა. ისინიც კი, რომლებიც მასთან მივიდნენ და დახმარება სთხოვეს, დასაქმდნენ, მაგრამ ვერ გაძლეს და წავიდნენ. ამბობდნენ, რომ მამაო მათთვის ყველაფერს აკეთებდა, ყურადღებას აქცევდა, ცოტ-ცოტა ფულსაც უგზავნიდა ძალიან გაჭირვებულებს.

გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, მამაოს კელიაში ძველი ხატები ჰქონოდა და რომელიმე იმდენად ძვირფასი ყოფილიყო, რომ სწორედ ამის გამო მოეკლათ. ყოფილი პატიმრები განმეორებით დაკითხეს, ყველა ამბობდა, რომ ხატები კელიაში ნამდვილად ეკიდა, თუმცა მათ ღირებულებაზე ვერ საუბრობდნენ. ზოგი ამბობდა, ექვსი ხატი იყოო, ზოგიც – ექვსი კი არა, კედელზე შვიდი ხატი ეკიდაო, ზოგიც სამს და ოთხს ასახელებდა. ფაქტი კი ის გახლდათ, რომ რამდენიმე ადგილზე კედელი თეთრად იყო დარჩენილი ანუ შესაძლოა, მკვლელმა ხატები მართლაც წაიღო, თუმცა პატიმრები არც იმას მალავდნენ, რომ მამაო ხატებს ადგილებს ხშირად უნაცვლებდა, ზოგს მაგიდაზე დებდა, ზოგს ჰკიდებდა, ამიტომ დასაბუთებულად ამის თქმაც შეუძლებელი გახლდათ. მხსნელად ისევ პატიმრები მოგვევლინნენ, რომლებმაც თქვეს, რომ დაახლოებით, სამი თვის წინ, მამაოსთან ტელევიზიიდან იყვნენ მისულები, გააშუქეს, როგორ შრომობდნენ ყოფილი პატიმრები და რაც მთავარია, მამაოსთან ვრცელი ინტერვიუ, სწორედ კელიაში ჩაწერეს, განათებების ფონზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გადაცემაში გასულ კადრებზე კარგად გამოჩნდებოდა, რა ხატები ეკიდა ოთახში და რაც მთავარია, შესაძლებელი იყო, შესაბამის სპეციალისტს დაედგინა, ჰქონდა თუ არა რომელიმეს ღირებულება. რაღა თქმა უნდა, ტელევიზიამ გადაცემის ფირი უპრობლემოდ გასცა და გამომძიებლებმა ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ ექსპერტთან ერთად უყურეს, მაგრამ...

„თავადაც ხომ ხედავთ, კადრი ისეა დაყენებული, რომ ხატები არა პირდაპირ, არამედ, გვერდიდან ჩანს. ესეც არ იყოს, ტელევიზორის საშუალებით, ძნელია დავადგინო, ჰქონდა თუ არა რომელიმე ხატს ღირებულება და რაც მთავარია, თუ არ შევეხები ნივთს, ვერ ვიტყვი, ის ძველია თუ ორი კვირის წინ დამზადებული“, – განაცხადა ექსპერტმა და გამომძიებლებმაც ყურები ჩამოყარეს, თუმცა მალე განყოფილებაში ტელევიზიის ფოტოგრაფი მივიდა და მაგიდაზე, დაახლოებით, 40 სურათი დადო, იქ რომ ვიყავით, ფოტოები გადავიღე და ოთახშიც ძალიან ბევრს ვიღებდი, ეგებ, რამეში გამოგადგეთო. მართალია, ფოტოები შავ-თეთრი იყო, მაგრამ ნათლად ჩანდა ყველა ხატი და ტელევიზიის ფირის ხარისხსაც აშკარად სჯობდა. სამართალდამცავები ისევ ექსპერტთან გაიქცნენ. მან ყურადღებით დაიწყო ფოტოების დათვალიერება, ერთ ფოტოს კი განსაკუთრებულად დააკვირდა, შემდეგ გამომძიებლებს მიუბრუნდა, ფოტოები მიუგდო და გაბრაზებულმა ჰკითხა – „დამცინით?!“

ძალოვნები ყველაფერს ელოდნენ, მაგრამ ამას არა. ვერ მიხვდნენ, რაში მდგომარეობდა დაცინვა ან რამ გააბრაზა ღვაწლმოსილი ექსპერტი.

„ფოტოზე რომ კაცი ჩანს, კამერის უკან, ეგ ჩვენთან მუშაობდა, ჩემი ყოფილი კოლეგაა, რაღაც სკანდალის გამო გააგდეს, მგონი, ცოტა ხნით დაჭერილიც იყო, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ისაა, რომ ამ კაცმა საქართველოში ყველაზე უკეთ იცის ძველი ნივთების შეფასება და რადგან ის იქ იყო, აუცილებლად შეამჩნევდა, თუ გახლდათ რამე ღირებული. რაც მთავარია, შეამჩნევდა მარტივად, რადგან უიშვიათესი ნიჭი ჰქონდა“, – განაცხადა ესქპერტმა და გამომძიებლებმაც ერთმანეთს გადახედეს.

კაცი ფოტოდან ტელევიზიის ოპერატორი იყო, რომელსაც მუშაობა ერთი თვის დაწყებული ჰქონდა. ის, მართლაც, საუკეთესო გახლდათ ამ სფეროში, მაგრამ მუზეუმიდან იმიტომ გააგდეს, რომ რომელიღაც ნივთზე ხელი აიქნია, ღირებულება არ აქვსო, შემდეგ კი იმ ნივთის დაუფლებას ცდილობდა და როგორც აღმოჩნდა, მუზეუმს საქმე საკმაოდ ძვირადღირებულ ექსპონატთან ჰქონდა. სწორედ ეს არ აპატიეს. სამართალდამცავები ოპერატორთან წავიდნენ და ბინა გაჩხრიკეს. მოპარული ხატები კარადაში ედო და მილიციის გამოჩენას ვერ იჯერებდა.

„ვერ ვხვდები, როგორ გამოვიდა მილიცია ჩემს კვალზე. რა თქმა უნდა, ხატი, რომელიც მე-12 საუკუნისაა, მაშინვე შევნიშნე, მაგრამ არ შევიმჩინე. ამ ხატის ზუსტი ღირებულება, შესაძლოა, რამდენიმე მილიონიც იყოს, მაგრამ მილიონი ნამდვილადაა. მამაოსთან მაშინ მივედი, როცა წესით, წირვაზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ თურმე, არცთუ იშვიათად, ლოცვაზე ყოფილ პატიმრებს აყენებდა, ღმერთთან უფრო ახლოს რომ ყოფილიყვნენ. ამიტომ, კელიაში შესულს მძინარე დამხვდა, ჩუმად ჩამოვხსენი ხატი, როდესაც მოვბრუნდი, ზურგსუკან მედგა და მიღიმოდა. მივხვდი, ხატებთან ერთად არ გამიშვებდა, ამიტომ უხმოდ დავდე ხატები მაგიდაზე, შემდეგ დანა ამოვიღე და მოულოდნელად დავარტყი. საძილე არტერიასთან შემთხვევით მომიხვდა, სულ სისხლით გავისვარე და იქაურობა მალე დავტოვე, დარწმუნებული ვიყავი, სუფთად ვიმუშავე, მაგრამ“... – აღიარა დანაშაული დაკავებულმა.

სასამართლომ მას 14 წელი მიუსაჯა. ვარაუდობდნენ, რომ ციხეში დიდხანს არ აცოცხლებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა – სასჯელი მშვიდად მოიხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია სამი პირი.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული თ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში დააკავეს. პოლიციამ, მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 2 მჭიდი.

ამავე დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1962 წელს დაბადებული დ.ლ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს „ნაგანის“ ტიპის 2 პისტოლეტი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1941 წელს დაბადებული რ.ბ დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 30 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული დ.გ. მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით მეუღლეზე ძალადობის, მისი ნივთის დაზიანებისა და მისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მცირეწლოვანი შვილის მიმართ ძალადობის, ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის და მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დ.გ., მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით, გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მეუღლეს – 1996 წელს დაბადებულ ე.ღ.-ს სისტემატურად აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

ბრალდებულმა მამაკაცმა მიმდინარე წლის 5 აპრილს, ფიზიკურად იძალადა მეუღლეზე, წაართვა მას ტელეფონი და დაუმტვრია, რათა პოლიციაში არ დაერეკა, რის შემდეგაც ჩაკეტა სახლში და მეორე დილამდე არ აძლევდა სახლიდან გასვლის შესაძლებლობას.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დ.გ.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის მცირეწლოვან შვილს და მეუღლის დედას, რომელსაც სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

გამოძიება მიმდინარეობს 11 პრიმა-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით, 11 პრიმა -126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, 11 პრიმა-187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 11 პრიმა-143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული ა.ბ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 9 აპრილს, ბათუმში, 26 მაისისა და მ. აბაშიძის ქუჩების კვეთაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1985 წელს დაბადებული ლ.ლ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა. პოლიციამ ა.ბ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, საბაჟო გამშვები პუნქტი ,,სარფის“ ტერიტორიაზე დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ, 2 აპრილს, თბილისში მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი პირი დააკავა – სულ დაკავებულია ცხრა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 2 აპრილს, თბილისში მომხდარი ორი პირის მკვლელობისა და რამდენიმე პირის დაჭრის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი პირი – 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.კ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თბილისში, კოსტავას ქუჩის მიმდებარედ განთავსებულ ერთ-ერთი ორგანიზაციის ოფისში მომხდარ მკვლელობის და დაჭრის ფაქტს თანმხლებ პირებთან ერთად შეესწრო, თუმცა სამართალდამცველებს აღნიშნული დანაშაულების შესახებ არ შეატყობინა, არ ითანამშრომლა გამოძიებასთან და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სულ ცხრა პირი დააკავა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსთან, კოკა კაციტაძესთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე და მოადგილეები: ალექსანდრე დარახველიძე, იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი, ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეები: გიორგი კვარაცხელია და ნათია სონღულაშვილი.

ვახტანგ გომელაურმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ახალ ხელმძღვანელებს სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა და ხაზი გაუსვა უწყებებს შორის კოორდინაციის მნიშვნელობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება. შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ორ უწყებას შორის კოორდინირებული თანამშრომლობის მზაობა გამოთქვეს.

ბერულავამ და საფინამ ისტორია გადაწერეს – საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია

ტალინში, მოციგურავეთა შორის, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართა. აღნიშნულ ტურნირზე საქართველოს ღირსებას, წყვილთა შორის, ლუკა ბერულავა და კარინა საფინა იცავდნენ. ეს იყო, ალბათ, პირველი შემთხვევა, როცა ქართული დელეგაცია მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატიდან ოქროს მედალს ელოდა, რადგან მანამდე, ზამთრის ოლიმპიადაზე, ქართულმა წყვილმა მე-9 ადგილი დაიკავა (საუკეთესო შედეგი საქართველოს ისტორიაში), ხოლო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე დიდებში, მეოთხე ადგილზე გავიდა (ესეც საუკეთესო შედეგი საქართველოს ისტორიაში).

საბედნიეროდ, ჩვენმა წყვილმა უშეცდომოდ ისრიალა და პირველი ადგილი მოიპოვა. შედეგად, ბერულავა-საფინას წყვილი, ქართული ციგურაობის ისტორიაში პირველია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. საგულისხმოა, რომ მათ ჯამში 188.12 ქულა დააგროვეს, მეორე ადგილზე გასულმა ავსტრალიურმა დუეტმა (ანასტასია გოლუბევა, ვიქტორ მური) 169.91 ქულა აიღო, მესამე ადგილოსანმა კანადელებმა კი (ბრუკ მაკინტოში, ნებჯამინ მიმარი) 156.80 ქულა. ქართველების უპირატესობა ძალზედ თვალშისაცემი იყო, რაც იმედს გვიტოვებს, რომ ისინი მედალს დიდებშიც მალე შესწვდებიან.

ლეგენდარული „დინამოდან“ აჩრდილი დარჩა

1962 წლის 29 ივნისს, ჟენევაში, საკლუბო კალათბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს, ჩემპიონთა თასის ფინალი შედგა. პარკეტზე თბილისის „დინამოსა“ და მადრიდის „რეალის“ კალათბურთელები გავიდნენ. იმის მიუხედავად, რომ ფავორიტად ესპანური გრანდი ითვლებოდა, ქართველებმა 90:83 იმარჯვეს და ისსტორიაში პირველად და უკანასკნელად მოიგეს საპატიო პრიზი.

წელს, იმ დიდი გამარჯვებიდან 60 წლის იუბილე აღინიშნება და იყო ვარაუდი, რომ საქართველოს სუპერლიგის გათამაშებას „დინამო“ მძლავრად ჩაატარებდა, ოქროს მედლებისთვის იბრძოლებდა, რაც 60 წლის იუბილესთვის კარგი აკორდი იქნებოდა. მეტიც, სუპერლიგა მაისში სრულდება, რაც იმას ნიშნავდა, რომ საიუბილეო თარიღთან ახლოს, ოქროს მედლების მოგება ბევრს გაახარებდა და სიმბოლური იქნებოდა.

ოქროს მედლები და ჩემპიონობისთვის ბრძლა კი არა, სუპერლიგის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, თბილისის „დინამო“, ისტორიაში პირველად, ქვედა ლიგაში დაქვეითდა. ჰო, რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს დარჩენილი სამი ტური, „დინამო“ ახალ სეზონს უძლიერესთა შორის ვეღარ დაიწყებს. ახლა იმის თქმა, ვისი და რისი ბრალია ეს ყველაფერი, ალბათ, არც ღირს. უბრალოდ, ძალიან ცუდი წასაკითხია – ჩემპიონთა თასის მომგები, მადრიდის „რეალის“ მძლეველი თბილისის „დინამო“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

აბრამოვიჩს ქონება საფრანგეთშიც გაუყინეს

ლონდონის „ჩელსის“ მფლობელი, რომან აბრამოვიჩი უმძიმეს დღეშია. მას დიდ ბრიტანეთში, ლამის ყველაფერი შეუჩერეს და გაუყინეს, კერძო საკუთრებაც კი დაუყადაღეს და გაურკვეველია, რა ბედი ელის მის სასახლეებსა თუ ოფისებს. ახლა კი, იგივე საფრანგეთის ხელისუფლებამაც გააკეთა და როგორც აცხადებენ, რუს ოლიგარქს, მთლიანობაში, ნახევარი მილიარდი ევროს ღირებულების ქონება გაუყინეს.

ამ თანხის უდიდესი ნაწილი კუნძულზე არსებულ უზარმაზარ ციხესიმაგრესა და... კიდევ ერთ კუნძულზე არსებულ კერძო პლაჟსა და სახლზე მოდის. რა თქმა უნდა, საფრანგეთის ხელისუფლებას ჯერჯერობით ეს ქონება ოფიციალურად არ წაურთმევია, მაგრამ აბრამოვიჩს იქ ცხოვრება გაურკვეველი ვადით აეკრძალა და ყველაფერთან ერთად, არც შენობის მოვლა-პატრონობის უფლება აქვს. არადა, იმავე ციხესიმაგრეს, თვეში, დაახლოებით, 150 ათასი ევროს ხარჯი სჭირდება იმისთვის, რომ იერსახე შეინარჩუნოს. აბრამოვიჩი ამ თანხას იხდიდა, ახლა კი...

შენგელია ტურის MVP გახდა

იტალიის ჩემპიონატის 25-ე ტურში, „ვირტუს ბოლონიამ“ „ტრენტოს“ უმასპინძლა და დამატებით დროში წვალებით დაამარცხა. მასპინძელთა გამარჯვებაში ლომის წილი თორნიკე შენგელიამ დაიდო, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა და 19 ქულასთან ერთად, 11 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. თოკოს ასპარეზობა იმდენად გამორჩეული იყო, რომ იგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

შეგახსენებთ, უკრაინა-რუსეთის დაპირისპირების შემდეგ, შენგელიამ მოსკოვის ცსკა დატოვა და კარიერა იტალიაში გააგრძელა, თუმცა აპენინელი ჟურნალისტები წერენ, ახალ სეზონს ქართველი შემტევი კატალონიურ „ბარსელონაში“ დაიწყებსო. ესპანურმა გრანდმა ჩვენებურის გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვა და თუ აღნიშნული გარიგება შედგება, შენგელია იქნება პირველი ქართველი კაპიტანი, რომელიც ევროპის ასეთი დონის კლუბში ითამაშებს.

ზინჩენკომ რუსი მეგობრების სია გაანულა

„მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი ოლექსანდრ ზინჩენკო ერთ-ერთია, ვინც პრაქტიკულად ყოველდღიურად ცდილობს, მსოფლიოს შეახსენოს, რომ მისი ქვეყნის ოკუპაციას რუსეთი ცდილობს. მართალია, ზინჩენკო იარაღით ხელში არ იბრძვის, მაგრამ დღე არ გავა, რომელიმე ბრიტანულ გამოცემასთან არ ისაუბროს. ამჯერად, საკუთარ მეგობრებზე გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ რუსი მეგობრების რიცხვი უბრალოდ განულდა.

„მე რუსეთში პატარა სამეგობრო წრე მყავდა. ჰო, მყავდა, რადგან მათ ომის დაწყების წინ მომწერეს, რომ რაც ხდება, საშინელებაა, მაგრამ ვერაფერს შეცვლიან. მეგონა, ისინი ამის შესახებ ხმამაღლა იტყოდნენ, მაგრამ დუმილი ამჯობინეს. შედეგად, ერთი-მეორეს მიყოლებით, მათი ნომრები წავშალე და ჩემი მეგობრების სიაში რუსები, უბრალოდ, აღარ არიან“, – განაცხადა ზინჩენკომ.

ამას გარდა, უკრაინელმა ფეხბურთელმა ისიც თქვა, მსოფლიო ნელ-ნელა ეგუება იმას, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება და ეს ძალიან ცუდიაო.

„უკრაინაში ყოველდღიურად იღუპებიან ადამიანები, კვდებიან ბავშვები და მსოფლიო ამის შესახებ მხოლოდ წუხს. წუხილი ვერ შველის სიცოცხლის გადარჩენას, საჭიროა უფრო მკაცრი ზომები და უფრო მეტი ზეწოლა რუსეთზე, რასაც ვერ ვხედავ. მგონია, რომ მსოფლიო ამას შეეჩვია და უკრაინა რუსეთს შეატოვა“, – დაამატა მან.

კაშია და კანკავა სლოვაკეთის ჩემპიონები გახდნენ

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ვლადიმერ ვაისმა ბრატისლავას „სლოვანში“ დანიშვნის შემდეგ, გუნდში ორი ქართველი – გურამ კაშია და ჯაბა კანკავა მიიყვანა. საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანი კანკავა და ვიცე-კაპიტანი კაშია ასაკში არიან, გულშემატკივრებმა 35 და 36 წლის ფეხბურთელების დამატება ვაისს არ მოუწონეს, თუმცა მწვრთნელმა პირველივე პრესკონფერენციაზე მკაცრად თქვა, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ, მე ვიცი, რომ საქმე ვეტერანებთან, მაგრამ ნამდვილ პროფესიონალებთან მაქვსო.

მას შემდეგ, ქართული დუეტი არა მარტო ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრად იქცა, არამედ, ისინი „სლოვანის“ მთავარი ფეხბურთელები გახდნენ და აგერ, სლოვაკეთის ჩემპიონობაც იზეიმეს.

„სლოვანი“ ჩემპიონია და თუ ამ საქმეში ვინმეს წვლილი მიუძღვის, პირველ რიგში, მწვრთნელს, ვლადიმირ ვაისს, შემდეგ კი ქართველებს – ჯაბა კანკავასა და გურამ კაშიას“, – დაიწერა სლოვაკურ მედიაში, რაც ნამდვილად სასიამოვნო მოსასმენ-წასაკითხია.

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

ამარანტები

მთის რაჭა

„ღმერთო, რა ვნახე?! სასიზმრო
რა საარაკო მხარეა,
თუ თვით ედემი არ არის,
ედემის შესადარია.“

აკაკი

ფასის მთა

აკაკის სიტყვებზე უკეთესი სხვა რა უნდა მომეფიქრებინა რაჭის წარსულზე ნარკვევების დასაწყისად?!. მაგრამ ერთი მაინც უნდა დავუმატო: რაჭის გასაცნობად მოგზაურობას რიონის სათავეებიდან თუ შევუდგებით, უმჯობესი იქნება, და ეს არა იმიტომ, რომ დინებას დავყვეთ, არამედ იმიტომ, რომ ამ კუთხე-ქვეყნის (არა მარტო მისი) ისტორია სწორედ აქედან იწყება.

რაჭა XVI ს-ის შემდეგ 3 ზონად განიხილება:

ქვემო რაჭა (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი);

ზემო რაჭა (ონის მუნიციპლიტეტი);

მთის რაჭა (ონის მუნიციპალიტეტი უწერას ზევით: რიონის სათავეების და მისი შენაკადის-ჭანჭახის ხეობები).

... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რაჭის, მეტადრე კი მისი მთიულეთის წარსულზე ლაზებისა და სვანების თავგადასავლის გარეშე ვერ ვისაუბრებთ, და, აი რატომ: ანტიკურ ხანაში (თუ უფრო ადრეც არა) დასავლეთ კავკასიონის მთა და მისი მთისწინეთი, ბზიფის აქეთ დვალეთამდე, სვანებს და მათ მონათესავე ქართველურ ტომებს ეკავათ: კოდორის სათავეები, მისი მთა-ბარი და ძალიან გრძელი შენაკადის ჩ ხ ა ლ თ ი ს ხ ე ო ბ ი თ (ბზიფის სათავემდე) **მისიმიანებს** ეკუთვნოდათ (იხ. აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე პროტიქტორი – VI ს.). აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის გამოკვლევით, ისინი ენითაც კი დიდად არ განსხვავდებოდნენ სვანებისგან და სავარაუდოდ ჭუბერის ხეობის (ნენსკრას) ზემო წელშიც ცხოვრობდნენ; ეგრისის ქედის სამხრეთით ნიშანდობლივად მკვიდრობდნენ **სუან-კოლხები** (იხ. კლავდიოს პტოლემაიოსი – I-II სს); ღეჩხუმის ქედის სამხრეთი, ამჟამინდელი ცაგერის მუნიციპალიტეტის და ნაწილობრივ ამბროლაურის დასავლეთით მდებარე სანახები, ეკავათ სკვიმნიელებს(იხ. პროკოპი კესარიელი – V, VI სს). ჩვენებურად მათ **ჩხუმები** (ჩხვიმნი) ერქვათ და ტოპონიმი ლე-ჩხუმი სწორედ აქედან მომდინარეობს. ეს პროვინცია VI-XI საუკუნეებში **თაკვერად** იყო ცნობილი და ხანგამოშვებით მასშტაბებს იცვლიდა. ასე მაგალითად, X ს-ში იგი არამარტო ჩხუმს, არამედ მთლიან რაჭას მოიცავდა (ღებიხევისა და ჭიორას გარდა). მაგრამ ვინ სახლობდა რიონის სათავეებში ანტიკურ და მის წინარე ეპოქაში, რა ერქვა სვანთა მონათესავე ამ ხალხს? აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. IIIს.) **ამარანტის მთას** და მისგან გამომდინარე **ამარანტის ფასისს** ასახელებს, რომელიც კუტაიაში ჩამოედინება. იგი ეჭვგარეშედ ფასის მთაზე, რიონზე და ქუთაისზე საუბრობს.

VI ს-ის გეოგრაფ – ლექსკოგრაფი სტეფანე ბიზანტიელი პირდაპირ წერს: **„ამარანტები კოლხური ტომია. მათი ქვეყნიდან მოდის ფაზისი. ამიტომაც არის, რომ ამ მდინარეს „ამარანტიოს“ ეძახიან“.** ასე რომ, რაჭველთა შორეულ წინაპრებად ამარანტები უნდა მივიჩნიოთ. ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაკვირი აღარ უნდა იყოს გეოგრაფიის მამის, სტრაბონის ნათქვამი – სვანებს (ე.ი. სვანურ სანათესაოს მთლიანად) ომში 200 000 მებრძოლის გამოყვანა შეუძლიაო.

მართალია, ვახტანგ გორგასალმა ამარანტები V ს-ის ბოლოს თაკვერისა და მარგვეთის საერისთავოში შეიყვანა, მაგრამ უწერას ზევით არსებული მოსახლეობა მაინც დამოუკიდებელ სვანურ სანათესაოში დარჩა დიდხანს. ამას ხელი შეუწყო VI საუკუნეში ბიზანტია – ირანის ომმა. მაშინ მთიელთა ერთობამ ირანის და (იგულისხმება) იბერიის მხარე დაიჭირა. მან ამით, ერთის მხრივ, ლაზიკისადმი მორჩილებაზე თქვა უარი, მეორეს მხრივ კი ბიზანტიას ჩაუკეტა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქიდან მასაგეტებთან (იმჟამად ჩრდილოეთ აზიაში მცხოვრებ თურქებთან) მიმავალი საქარავნო – საუღელტეხილო გზები: **მამისონი, კირტიშო, გურძიევცეკი, წანარული, ასევე მისიმიანთა ნახარა, ქლუხორი, პტიში, მარუხი.**

XI ს-ის დასაწყისში ბაგრატ III – მ თაკვერის აღმოსავლეთ მონაკვეთის (დღევანდელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი), შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ მიწების (კუდარო) და ამარანტების ტერიტორიის ერთ ნაწილის გაერთიანებით რაჭის საერისთავო ჩამოაყალიბა და ერისთავად მარგვეთის საერისთავო გვარის – ბაღვაშთა სახლის წარმომადგენელი რატი დაინიშნა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო დღევანდელი რაჭის შევსება მარგვეთიდან, ოკრიბიდან და შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსული მოსახლეობით. . . . 1503 წელს უფრო დიდი ამბავი მოხდა. ამის მიზეზი ისევ უღელტეხილებით სარგებლობა იყო, თუმცა ზედაპირზე სულ სხვა ფაქტი, სხვა საბაბი იდო.

მე-15 საუკუნის ბოლო მეოთხედში კახთა მეფემ ალექსანდრე პირველმა მოსკოვის დიდ მთავართან ივანე III-თან საიდუმლოდ გაგზავნა თავისი ელჩები ისინი, ბუნებრივია, დარიალის უღელტეხილით, ისლამურ საშამხლოზე გამავალი, გზებით ვერ ისარგებლებდნენ. კახეთის მეფის პატივისცემისა და პოლიტიკური შეხედულებების თანხვედრის გამო, სვანებმა რუსეთში მიმავალ ელჩებს ორჯერ გაუხსნეს თავიანთი გადასასვლელები. ეს მოხდა 1483 და 1491 წლებში. ეს ამბავი, ბუნებრივია, „ოქროს პორტამდე“ და, მითუმეტეს, იმერეთის მეფის ყურამდეც მიაღწევდა. გამოდიოდა, რომ კახეთი, ქართლისა და სვანეთის გზების გამოყენებით, ახორციელებდა ახალ პოლიტიკას, იმერეთის სამეფო კი, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა წესით სვანეთი, თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა პოლიტიკურ ველზე. **და აი, ამ პერიოდს საეჭვოდ დაემთხვა იმერეთის მეფის მოლარეთუხუცესისა და მარჯვენა ხელის – თავად ჯაფარიძის საგვარეულოს დაპირისპირება ღებიხევის მფლობელ სვან ვარგებთან. მდგომარეობა იქამდე დაიძაბა, რომ ერთ-ერთ შეტაკებაში სვანებმა ჯაფარიძეთა სახლის ორი წევრი მოკლეს. ამას ჯაფარიძეთა მხრიდან ბალსზემო სვანებისთვის საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან დამაკავშირებელი გზების ბლოკირება მოყვა. ბალსზემო სვანეთი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ამიტომ 1503 წ-ის ხელშეკრულებით, ჯაფარიძეთა სისხლის სანაცვლოდ, სვანეთის თავკაცებმა ცანადან უწერმდე არსებული ტერიტორია რაჭის საერისთავოს დაუთმეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ სვანებმა, რიონის სათავესთან ერთად, ცხენისწყლის ერთ-ერთი სათავე – ლაფურიც დაკარგეს. ამ ხელშეკრულებას ოფიციალურად ასე ჰქვია: „წიგნი სასისხლო საქმეთა ბალსზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“.** ძალიან საინტერესოდ მეჩვენა ამასწინათ ღებში გაგონილი გადმოცემა: თითქოს 1503 წლის ამბებში ამარანტ-სვანებს, ანუ ღების თემს, მხარი ჯაფარიძეებისთვის დაუჭერია. იმის გარკვევა, რამდენად მართალია ეს, ან თუ მართალია, რა იყო ამის მიზეზი, მარჩიელობას დაემსგავსება.



მინდაციხე

რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბებაზე ამაზე უფრო ლაკონურად წერა მე არ შემიძლია, მაგრამ, რომ დავფიქრდი, არც ასე ივარგებს.

რა ვუყოთ ამარანტებს და მათ ძველთა-ძველ თავგადასავალს? მარტო იმის ცოდნა არ არის საკმარისი, რასაც აპოლონიოს როდოსელი გვეუბნება: ამარანტის მთიდან გამოდის მდინარე ამარანტის ფასისი და იგი კოტაიასთან ჩამოედინებაო. დანარჩენზე ჩვენ ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ.

... ამარანტი, რაჭა ...

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ორ სიტყვას და სახელწოდებას აერთიანებს და კრავს ერთი მარტივი მარცვალი „რა“

თავდაპირველად „რაჭა“ განვიხილოთ, რომლის შინაარსობრივ აგებულებაზე რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული:

„რაჭა“ გულისხმობს აღფრთოვანებით გამოთქმულ შთაბეჭდილებას, რომელიც შქმერიდან დანახული ხეობის სილამაზის გამო დასცდენია თამარ მეფეს: – **ეს რა ჭაა!**;

„რაჭა“ კურდღლის სვანური სახელწოდებიდან **„რაჭუდან“** მომდინარეობს;

„რაჭა“ სვანურად **„რა ჭან“**-ს, ანუ ჭანთა ალაგს ნიშნავს;

პროვინციის სახელწოდება „რაჭა“, რაკი ის XI საუკუნიდან ჩნდება, დაკავშირებული უნდა იყოს მისი პირველი ერისთავის სახელთან – **რატისთან**.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ვერსია, ხალხური თუ მეცნიერული, ფრიად საყურადღებოა, მაგრამ ჩემი ვერსია ემთხვევა მამა ავთანდილ გიორგობიანის ვერსიას, რომელიც მას ჩემამდე გასჩენია.

სიტყვის პირველი მარცვალი „რა“ მზის სინონიმია და სიტყვა „რაჭა“ მზის ჭას გულისხმობს. ეს შედარება ძალიან ესადაგება მთების სიღრმეში არსებულ სოფლებსა და დაბებს, მეტადრე კი ონს, სადაც ზაფხულობით ისე გწვავს შუადღის მზე, რომ იფიქრებ – ციდან ხომ არ ჩამოვარდაო. დიახ, „რა“ მზის ღვთაებაა რაჭაში და დედას განასახიერებს. არის ერთი ასეთი რაჭული ლექსის სტრიქონი; „რაეო, ჩემო დედაო!“. სვანურმა ლექსიკამ ეს სიტყვა, თითქოს დაკარგა , მაგრამ, ასე თუ ისე მაინც შემოინახა: წარმართული „ლამპრობის“ აღნიშვნის დროს. მახვშის ლოცვა-დიდების პასუხად, რომელიც თეთრ გიორგის – ჯგრააგს ეძღვნება, დამსწრენი ქოროდ წარმოთქვმენ: **„ო .. რა-ი, მენ!“** ანუ: **„ო,... მზეო, იყავნ (ამენ)!“** ეს ლოცვა – დიდება „სამჯერ წარმოითქმის მზის ამოსვლის წინ. წარმართული საქართველოს ყველა კუთხეში მზეს დედის ხატება ჰქონდა („მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი...“) მაგრამ მისი მეორე სახელწოდება „რა“ მხოლოდ რაჭამ და სვანეთმა შემოინახეს.

რაშია საქმე?

საქმე ისაა, რომ „რა“ ძველეგვიპტური ღვთაების – თაკარა მზის სახელია. ეგვიპტელებს მზის კიდევ ორი ღვთაება ჰყავდათ: „ამონი“ – ალიონის მზე და „ატონი“ – დაისის მზე. ეს სამივე სახელი ამკობდა ეგვიპტის სხვადასხვა დინასტიის ფარაონებს: ამენ+ხოტეპი, ეხნ+ატონი, რა+მზესი და ა.შ.

მზის სამივე ეგვიპტური ღვთაების მარცვლები, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩაგვირისტებულია რაჭველთა წინაპრის ამარანტის სახელში. გარდა ამისა, მსგავს თეოტოპონიმად შეიძლება განვიხილოთ რაჭა-ლეჩხუმის პროვინციის ადრინდელი სახელი „თაკვერი“. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიანიშნებდა, პრეფიქსი „თა“ მდედრობითის ნიშანია, ხოლო კვირიოს – კვირია უფალს ნიშნავდა. უფრო მეტიც, მცირე აზიასა და საბერძნეთში ხშირად „კირიოსს“ მზის ღვთაებასაც უწოდებდნენ. ასე რომ, თაკვერი დედაუფალს, დედამზეს გულისხმობს. მის გამო ეწოდა რიონის სათავე ხეობის ყველაზე მიუვალ ციხესიმაგრეს **კვარაციხე**. როგორც ვხედავთ, რაჭის კუთხე-ქვეყნის ყველა დასახელებაში მზე ფიგურირებს.

ავთ. გიორგობიანის ეს ჰიპოთეზა ფრიად საგულისხმოა. (თუმცა არც მეორე ვერსიის გამორიცხვა შეიძლება – ამარანტი, შეიძლება, ამირანის მთას გულისხმობდეს. ამირანის ანუ ძველბერძნული პრომეთეს მთად კი ფასის მთაა მიჩნეული).

ტოპონიმის ამგვარმა ახსნამ მკითხველში ირონია და სკეპტიციზმი რომ არ გამოიწვიოს, ხოლო ფრიად საინტერესო თემა უინტერესოდ არ აქციოს, წინამდებარე წერილში ძალიან მოკლე დასკვნით შემოვიფარგლები:

სვანებისა და მათი ნათესავი ამარანტების ყოფიერება სწორედ რიონის ხეობის სათავეებში (ღები, ჭიორა, ბრილი, გლოლა...) ერწყმოდა ერთმანეთს, ხოლო ეს საქართველოს ის ერთადერთი რეგიონია, რომელთანაც ძველ ეგვიპტელებს ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტი. უფრო დაწვრილებით ცნობებს მომდევნო წერილში ელოდეთ ...

საქორწინო ბეჭედი ფრჩხილებისგან

იაპონელმა მამაკაცმა საქორწინო ბეჭედი საკუთარი ფრჩხილებისგან დაამზადა. მისი შექმნის პროცესი სოციალურ ქსელში გაავრცელა. ის მთელი წლის განმავლობაში ინახავდა მოჭრილ ფრჩხილებს. როცა საკმარისი რაოდენობა დააგროვა, დაფშვნა, წყალი დაასხა, დაპრესა და მერე 90 წუთით ღუმელში მოათავსა. რამდენიმე საათის შემდეგ, მამაკაცმა მიღებული შავი მასა დაამუშავა, დააწახნაგა და ძვირფასი თვლის ფორმა მისცა. მიღებული თვალი იაპონელმა ვერცხლის ბეჭედში ჩასვა. სოციალური ქსელის მომხმარებლები თვლიან, რომ მსგავსი საჩუქარი საზიზღრობაა, ზოგმა კი იაპონელს გამჭრიახობა და ბეჭდის კეთების უნარი მოუწონა.

სიგარეტის ბოლი თვალებს ვნებს

პასიური მოწევისას, სიგარეტის ბოლი ბავშვებში თვალის გარსის სისხლძარღვებს „კლავს“, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჩინელი სწავლულები. მათი თქმით, როცა უფროსები ეწევიან, თამბაქოს კვამლი ბავშვის თვალის გარსის სისხლძარღვებს ავიწროებს. გაირკვა ისიც, რომ თვალებზე კვამლის ზემოქმედების სიმძიმე დამოკიდებულია რაოდენობაზე – ამ შემთხვევაში, დოზადამოკიდებულების ეფექტი გვაქვს. ჰონგ-კონგის უნივერსიტეტის სწავლულებმა, 6-8 წლის ასაკის 1.4 ათასი ბავშვი გამოიკვლიეს, რომლის შედეგებიც ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნდა.

კვერცხი საუკეთესო საუზმეა

სწავლულების მტკიცებით, კარგად რომ დავნაყრდეთ, სჯობს, დილაობით კვერცხისგან მომზადებული კერძი მივირთვათ. ლუიზიანის უნივერსიტეტის მკვლევარების აზრით, კვერცხი შიმშილის ბუნებრივი „ჩამხშობია“. თუ დილაობით, საუზმედ ომლეტს ან ერბოკვერცხს მიირთმევთ, სადილობისთვის, შიმშილის გრძნობა დიდად არ შეგაწუხებთ. ამ თეზისის დასამტკიცებლად, სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 20 მოხალისე მონაწილეობდა. ერთი კვირის განმავლობაში, ისინი ორ კვერცხს ან ერთ თეფშ ფაფას მიირთმევდნენ. ორივე კერძი ერთი და იმავე რაოდენობის კალორიებს შეიცავდა, პორციის ზომაც ერთნაირი იყო. სადილის წინ, მოხალისეები ამბობდნენ, რამდენად მოშიებულები იყვნენ, შემდეგ შეუზღუდავი რაოდენობით მიირთმევდნენ საკვებს და ბოლოს სისხლის ანალიზსაც იკეთებდნენ. ექსპერიმენტისას გაირკვა, რომ ისინი, რომლებიც დილაობით კვერცხით საუზმობდნენ, სადილად ნაკლებ საჭმელს მიირთმევდნენ. სისხლის ანალიზით დადასტურდა, რომ ჰორმონ PYY-ის დონე, რომელიც დანაყრებაზეა პასუხისმგებელი, კვერცხის მოყვარულებში უფრო მაღალი იყო.

ყველა კერძი ნაყინით

აპენინებზე, მარადიულ ქალაქში, ახალი რესტორანი Il Gelato D' Essai da Geppy Sferra გაიხსნა, სადაც იმედოვნებენ, რომ ყველასთვის საყვარელი ნაყინი მხოლოდ ტკბილი დესერტი არ იქნება და ის კერძების მნიშვნელოვანი ინგრედიენტი გახდება. ამ დაწესებულების მენიუს ყველა კერძში არის ნაყინი, ზოგიერთი კომბინაცია კი მართლაც გასაოცარია. მაგალითად, ქათმის კარი ქოქოსის ნაყინით, ტკბილ-მჟავე ღორის ხორცი ანანასის სორბეტით, ყაბაყის სპაგეტი პიტნით, ლიმონით, მოხალული ნუშით, რიკოტათი და ნაყინით. საიდუმლო არავისთვის არაა, რომ ამ ცივ დესერტს იტალიელები აღმერთებენ – სტატისტიკური მონაცემებით, წლის განმავლობაში, ერთი ადამიანი, დაახლოებით, 6 კილოგრამ ნაყინს მიირთმევს.

ადამიანი 38 წელს უნდა ცოცხლობდეს?

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ პირობებში, 38 წელს შეადგენს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიის ნაციონალური სამეცნიერო სააგენტოს სწავლულები. მათ შეიმუშავეს „საათის“ გენეტიკური მოდელი, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა ხერხემლიანების, როგორც ცოცხალი სახეობების, ასევე, გადაშენებულების სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეაფასოს. 42 გენის იდენტიფიცირების მიზნით, მკვლევარებმა 250-ზე მეტი სახეობის მონაცემები გააანალიზეს.

სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ გრელანდიურ ვეშაპს შეუძლია 268 წლამდე იცოცხლოს, რაც ადრინდელ კვლევებთან შედარებით, 60 წლით მეტია. ადამიანის გენომის გამოყენებით, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ „ჰომო საპიენსის“ სოცოცხლის მაქსიმალური ბუნებრივი ხანგრძლივობა, სულ რაღაც, 38 წელია. უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს ადამიანი მეცნიერებისა და მედიცინის განვითარებას უნდა უმადლოდეს.

ლოცვით განკურნება მეცნიერულად დამტკიცდა

მედიკოსების მტკიცებით, ლოცვისა და მედიტაციის ძალა განუზომელია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სისტემატური ლოცვა ტვინის იმ უჯრედებს ააქტიურებს, რომლებიც უამრავი მძიმე დაავადების დამარცხებას უწყობენ ხელს და ტვინის სტიმულირებას ახდენენ. კვლევაში ის ხანდაზმული ადამიანები მონაწილეობდნენ, რომელთაც მეხსიერების პრობლემები ჰქონდათ. ჯეფერსონის უნივერსიტეტის პროფესორი ენდრიუ ნიუბერგი მათ 8 კვირის განმავლობაში, დღეში 12 წუთით, ლოცვის პროცესში აკვირდებოდა. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მეცნიერს დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა – ნიუბერგის მტკიცებით, ტვინს სტრუქტურული ცვლილების უნარი აქვს, რაც ადასტურებს, რომ ყველა დაავადების განკურნება შესაძლებელია. კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც ფლორიდაში, სიმსივნის კვლევით ცენტრში ჩატარდა, სწავლულებმა დაადგინეს, რომ კვლევაში მონაწილე 40 ათასი პაციენტიდან, განსაკუთრებით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომლებიც რეგულარულად ლოცულობდნენ.

დღეში ორი ვაშლი – გულის სამკურნალოდ

ორგანიზმი რომ გულის დაავადებებისგან დაიცვათ და ქოლესტერინის დონე შეამციროთ, ყოველდღიურად ორი ვაშლი უნდა მიირთვათ, – ასეთ დასკვნამდე რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ვაშლი მდიდარია უჯრედისით და სხვა ნაერთებით, რაც აუმჯობესებს სისხლძარღვების ფუნქციას და აქვეითებს ქოლესტერინის ცუდ დონეს. მკვლევარებმა ექსპერიმენტი საშუალო ასაკის 40 მოხალისეზე ჩაატარეს – მათი ნახევარი, ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად ორ ვაშლს მიირთმევდა, მეორე ნახევარი კი ვაშლის წვენს სვამდა. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფის წევრებს, რომლებიც ვაშლს ჭამდნენ, მნიშვნელოვნად შეუმცირდათ ქოლესტერინის დონე და გულის ჯანმრთელობის მდგომარეობაც არსებითად გაუუმჯობესდათ.

ტვინის კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნეს

კომპანია Northwest Biotherapeutics-ის სწავლულებმა, ოთხწლიანი კლინიკური კვლევებისა და ტვინის ონკოლოგიის მრავალწლიანი შესწავლის შემდეგ, საკუთარი ვაქცინა შექმნეს, რომელიც ტვინის ონკოლოგიის მკურნალობისას გამოიყენება. ვაქცინა, სახელწოდებით DCVax, ორგანიზმში რეგულარული შეყვანისას არა მხოლოდ აქვეითებდა დაავადების აქტიურობას, არამედ, ტრადიციული თერაპიული მკურნალობის ეფექტიანობასაც ზრდიდა. ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერების განცხადებით, ვაქცინის რეგულარულ მიღებასა და უკვე დანიშნული მკურნალობის კურსის ჩატარებას შეუძლია, პრაქტიკულად, სრულად გაანადგუროს გლიობლასტომა. პრეპარატის ეფექტიანობის ერთ-ერთი მაგალითია 36 წლის ქეთ ჩარლზი, რომელსაც ეს დაავადება 2017 წელს დაუდგინდა. მას ექიმებმა მხოლოდ სამი თვის სიცოცხლე „მისცეს“, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ, ქეთ ჩარლზი კვლავ ცოცხალია, მეუღლესთან ცხოვრობს და ქალიშვილს ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინა არ არის აბსოლუტურად ეფექტიანი, ქიმიოთერაპიის შემდეგ, მას შეუძლია პაციენტების გადარჩენის შანსი გაორმაგოს და გაასამმაგოს კიდეც.

მრავალჯერადი ქაღალდი შექმნეს

სინგაპურელმა სწავლულებმა ჰიპოალერგიული, მრავალჯერადი ქაღალდი მცენარეული მტვრისგან შექმნეს – ის ბეჭდვის რვა ციკლსა და ტექსტის წაშლას უძლებს. ახალი მასალა უამრავ ტყეს გადაარჩენს გაჩეხვისგან, ხოლო მისი წარმოება გარემოსთვის უსაფრთხოა. დღეს არსებული ხე-ტყის მასალის 40% ქაღალდის წარმოებაზე მოდის, გარდა ამისა, მის დასამზადებლად მაღალ ტემპერატურასა და ქიმიურ ნივთიერებებს იყენებენ, რაც დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროს. სპეციალისტებმა ახალი ტექნოლოგიით 0.03 მილიმეტრის სისქის ქაღალდი მიიღეს. ის ძმარმჟავით დაამუშავეს, რათა ტენიანობის შეწოვა აეცილებინათ თავიდან.

ელექტრონული სიგარეტი ჩვეულებრივზე მავნეა

ავსტრალიის ნაციონალური უნივერსიტეტის სწავლულებმა 189 სამეცნიერო ნაშრომი გააანალიზეს, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ელექტრონული სიგარეტის გავლენას ეხებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს მოწყობილობები არც ისე უსაფრთხოა. მკვლევარების განცხადებით, „ვეიპების“ მოწევა მოწამვლას იწვევს, ფილტვებს აზიანებს და ამ მოწყობილობაზე დამოკიდებულებასაც ზრდის.

ყველაფერი ეს იმით იხსნება, რომ მოწევისას, ადამიანი მხოლოდ წყლის ორთქლს არ შეისუნთქავს – უნიკოტინო სიგარეტებშიც კი, 243 სახეობის ნივთიერება შედის, რომელთაგან 38 – შხამია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ნივთიერებებს ყველა „ვეიპი“ არ შეიცავს, ან მათ უსაფრთხო დოზით უმატებენ. ამის მიუხედავად, ელექტროსიგარეტები მაინც საშიშია, რადგან ჩვეულებრივ თამბაქოზე დამოკიდებულებას კიდევ უფრო მეტად აძლიერებს. სწავლულების თქმით, „ვეიპების“ მოხმარებით, მწეველები სამჯერ უფრო მეტად უბრუნდებიან ჩვეულებრივი სიგარეტის მოწევას, ვიდრე ისინი, რომლებიც ელექტროსიგარეტს არ მოიხმარენ.

სააღდგომო ხე გერმანიაში

სააღდგომო ხე გერმანული ტრადიციაა. ამ რელიგიური დღესასწაულისთვის, ადგილობრივები ხეებს ან ბუჩქებს ფერადი საღდგომო კვერცხებით რთავენ. ყველაზე ცნობილი, ზაალფელდში მდებარე ვაშლის ხეა, რომელიც კრაფტების ბაღში დგას. ოჯახის უფროსმა, ფოლკერ კრაფტმა საღდგომო ხის მორთვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. 1965 წელს, ოჯახის წევრებთან ერთად, მან ვაშლის ხეს სულ 18 ცალი კვერცხი ჩამოჰკიდა. წლიდან წლამდე, კვერცხების რაოდენობა იზრდებოდა და 2012 წელს, მის საღდგომო ხეს უკვე 10 ათასი ცალი კვერცხი ამშვენებდა. ვაშლის ხის მორთვაში კრაფტებს თანაქალაქელები ეხმარებოდნენ – უგზავნიდნენ კვერცხებს მთელი გერმანიიდან და უცხოეთიდანაც კი. შულ ბოლოს, პოპულარული ვაშლის ხე წლის აღდგომის დღესასწაულზე მორთეს.

ანანასისგან პლასტმასი მიიღეს

ესპანელმა სწავლულებმა ალიკანტეს უნივერსიტეტიდან, ანანასის ნარჩენებისგან, როგორც რბილობიდან, ასევემ ქერქიდან ახალი მასალის მიღება შეძლეს. მათ პლასტმასის მსგავსი მასალა მიიღეს, რომელიც აქტიურ ბუნებრივ ნაერთებს შეიცავს და ანტიოქსდანტური ეფექტი ახასიათებს. ასეთი მასალისგან შექმნილ კონტეინერში პროდუქტების შენახვის ვადა გაიზრდება. ექსპერტები ახლა ცდილობენ, მასალას არომატის გამაძლიერებელი ნაერთებიც დაუმატონ, რომლებსაც ისევ ანანასისგან მიიღებენ. მათი აზრით, პროდუქტების შესანახად ასეთ მასალას ყველა სიამოვნებით გამოიყენებს. სწავლულების წყალობით, ანანასის ნარჩენებსაც, რაც პროდუქტის წონის თითქმის ნახევარია, „ახალი სიცოცხლე“ მიეცემა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲦᲐᲠᲘᲑ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲓᲐ

ჩილეს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, გაბრიელ ბორიჩმა სანტიაგოს ღარიბი უბნების მოსახლეობის კრიმინალებისგან დაცვა გადაწყვიტა. მათ გადასარჩენად, პრეზიდენტი ერთ-ერთ ასეთ უბანში – ეგრეთ წოდებულ, გეტოში დასახლდა. ახლა დედაქალაქის კრიმინალურ ქუჩებში, ქვეყნის მეთაურის უსაფრთხოების დასაცავად, უამრავი სამართალდამცავი დადის, ბანდიტები კი სახლებში სხედან. 36 წლის ბორიჩმა, გასული წლის დეკემბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, უფლებამოსილების შესრულებას კი მარტიდან შეუდგა. გაბრიელ ბორიჩი, ბოლო ორასი წლის განმავლობაში, ჩილეს ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია.

ᲣᲘᲚ ᲡᲛᲘᲢᲘ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ „ᲓᲐᲐᲯᲐᲠᲘᲛᲔᲡ“

ჰოლივუდის შავკანიანი მსახიობი უილ სმიტი, მომდევნო ათი წლის განმავლობაში, "ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, – ასეთი სასჯელი გამოიტანა ამერიკის კინოაკადემიამ. რიგით 94-ე ღონისძიება სმიტის "მიუღებელმა და მავნე საქციელმა" გააფუჭა, როცა ცერემონიის წამყვანს, მისი ცოლის გადაპარსულ თავზე უადგილო ხუმრობისთვის, სცენაზე სილა გააწნა. ათი წლის განმავლობაში, მსახიობს კინოაკადემიის ყველა ღონისძიებაში, მათ შორის, "ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიაშიც კი აუკრძალეს მონაწილეობა. რაც შეეხება უილ სმიტის წლევანდელ მონაგარს ანუ "ოსკარს" მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, მას ვერ ჩამოართმევენ, რადგან ამ შემთხვევაში, კინოაკადემიკოსების ხმები თანაბრად გაიყო.

ᲑᲔᲜ ᲐᲤᲚᲔᲙᲘ ᲓᲐ ᲯᲔᲘ ᲚᲝ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲜ



ბოლო დროს, ჰოლივუდის ვარსკვლავებიდან ყველაზე ხშირად ყურადღების ცენტრში ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის წყვილი ექცევა. 20-წლიანი განშორების შემდეგ, ისინი კვლავ ერთად არიან და როგორც ჩანს, დაქორწინებაც გადაწყვიტეს. მომღერალი და მსახიობი ჯეი ლო პაპარაცებმა უკვე დააფიქსირეს ხელზე ნიშნობის ბეჭდით. ცოტა ხნის წინ, საკუთარ საიტზე, ლოპესმა თავად დაადასტურა, რომ 20 წლის წინ ჩაშლილი ქორწილის შემდეგ, ისევ აპირებს ბენ აფლეკზე გათხოვებას. ჯეი ლომ თაყვანისმცემლებს საყვარელი მამაკაცის საჩუქარი – უზარმაზარი ფირუზისთვლიანი ბეჭედიც აჩვენა. აფლეკზე გათხოვების შემდეგ, ლოპესისთვის ეს უკვე მეოთხე ქორწინება იქნება. მას ორი შვილი ჰყავს მომღერალ მარკ ენტონისგან. ბენ აფლეკი კი მსახიობ ჯენიფერ გარნერზე იყო დაქორწინებული და მათ სამი შვილი ჰყავთ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜ

ბრიტანელმა სწავლულებმა, კემბრიჯის ბაბრემის ინსტიტუტიდან, კანის უჯრედების 30 წლით გაახალგაზრდავების უნიკალურ მეთოდს მიაგნეს. სპეციალისტებმა უჯრედებში ემბრიონული გენები შეიყვანეს, რომლებიც ხელს უწყობენ კოლაგენის გამომუშავებას და აღადგენენ ქსოვილს, ხრტილსა და ძვალს. გარდა ამისა, ასეთი მეთოდით გაახალგაზრდავებამ იმ გენების აქტიურობა დააქვეითა, რომლებიც ასაკობრივ დაავადებებს უკავშირდებიან. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მათი აღმოჩენა სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ბუნებრივ დაბერებასთან ბრძოლაში, არამედ, ზოგიერთი ქრონიკული და ასაკობრივი დაავადების, მათ შორის, ალცჰაიმერისა და კატარაქტის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

სამოქმედო გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის აქტიური ჩართულობით შემუშავდა და დამტკიცდა. კერძოდ, ორდღიანი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, საკონსულტაციო ჯგუფთან განხილულ იქნა სამოქმედო გეგმის პროექტით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები და მათი შესრულების ინდიკატორები.

2022 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს 2021 წლის სამოქმედო გეგმის გაგრძელებას, რომლის იმპლემენტაციის თვალსაზრისითაც, უწყებას მნიშვნელოვანი შედეგები აქვს.

ახალი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორებიცაა:

- **სამინისტროს სისტემაში შშმ პირთა უფლებების დაცვის პოლიტიკის განვითარება;**
- **შშმ პირთათვის სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა;**
- **შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ჩამოყალიბება;**
- **სამინისტროს სერვისებზე შშმ პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;**
- **სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საჭირო უნარების განვითარება შშმ პირებთან ურთიერთობისათვის;**
- **არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა.**

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს მხარს უჭერდა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

სამინისტრო გააგრძელებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას სამინისტროს საქმიანობის სფეროში შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

დარახველიძე ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისარს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან, კაირატ აბდრახმანოვთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქეთევან ციხელაშვილი.

ალექსანდრე დარახველიძემ სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა სათანადო და ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სამინისტროში განხორციელებულ ღონისძიებებს.

ეუთოს უმაღლესმა კომისარმა დადებითად შეაფასა სამინისტროში გატარებული რეფორმები და იმედი გამოთქვა, რომ ქართული მხარე დაინტერესებულ სახელმწიფოებს საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებას გაუზიარებს.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ კაირატ აბდრახმანოვს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ეუთოს ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საინფორმაციო კამპანია დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიწყო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კამპანია, სლოგანით – „იცოდე, რომ კანონი გიცავს!“

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა ევროკავშირის მხარდაჭერით დაგეგმა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საინფორმაციო კამპანია.

კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და პოლიციისადმი ნდობის ხარისხის გაზრდა.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა, კატალინ გერმანმა გახსნეს.

კამპანიის ფარგლებში, ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის და საზოგადოების ინფორმირების მიზნით მომზადდა 4 ვიდეორგოლი, რომელთა მთავარი მესიჯია – „იცოდე, რომ კანონი გიცავს“!

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა – მამუკა ჭელიძემ მოწვეულ სტუმრებს დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. მან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებზე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობასა და მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

კამპანიის პრეზენტაციას ესწრებოდნენ სხვადასხვა სამინისტროს, ევროკავშირის, აშშ-ის საელჩოს და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საინფორმაციო კამპანია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“ – ფარგლებში ხორციელდება

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.